

საქართველო ხელს აწერს ჟირესზე

ფრანგი მწვრთნელი ნახრების სიას თვითმფრინავში ამოიხიბნავს

დღეს პარიზიდან თბილისში საქართველოს ნაკრების ფაქტობრივი მწვრთნელი ალენ ჟირესი და მისი თანამემწე ვია გურული ჩამოფრინდებიან.

პარიზი-თბილისის ავიარეისის ბილეთები მათ უკვე ხელთ აქვთ. ჟირესი თბილისში ამ ჯერზე სამი დღით ჩამოდის — ფედერაციასთან კონტრაქტს გააფორმებს, ნაკრების ბაზას მოინახულებს და ქართული ფეხბურთის მესვეურთ შეხვდება, დაესწრება ყიფიანის თასის ერთ-ერთ, ალბათ, „დინამო“ — „სამგურალის“ მერვედფინალურ შეხვედრას და ორშაბათს ფედერაციის პრეზიდენტ მერაბ ჟორდანიასთან ერთად პარიზს გაფრინდება.

პარიზში ჟორდანია-ჟირეს-პლატინის შეხვედრაა დაგეგმილი, სადაც ისინი ჩვენი ნაკრების მომავალზე იმსჯელებენ. არაა გამორიცხული, მიშელ პლატინიმ ნაკრების თავკაცი იმ დროს პარიზში ვიზიტით მყოფ საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს ფრანგულ საზოგადოებაში წარუდგინოს.

იქამდე კი, ვიდრე ალენ ჟირესი ფეხბურთის ფედერაციასთან კონტრაქტს გააფორმებს, ნაკრების თაობაზე წვრილად საუბრისგან თავს იკავებს. მწვრთნელს ჯერჯერობით არც ის უთქვამს, გერმანიის ახალგაზრდულ ნაკრებთან 30 მარტის ამხანაგური შეხვედრისთვის ეროვნული გუნდი მზადებას სად და როდის დაიწყებს, ბუნებრივია, შემადგენლობაზე ლაპარაკიც ზედმეტია. ნაკრების კანდიდატების სიას ჟირესი ფეხბურთის ფედერაციისგან ელის, რასაც ჩვენები ფრანგს პარიზში ვაატანენ.

დანარჩენი ამბები კი ხვალისთვის იყოს, დღეს სალამოს ჟირესი თბილისში იქნება.

კობა ინასარიძე



იმ, სადაც უფა, გოგან უფა

სიორტ-მეცნიერები

თებერვალი მარტო გაზაფხულის დადგომა არ არის, თებერვალი დიდი ფეხბურთის სურნელიცაა — გვიბრუნდება გამოზამთრებული ევროთასები, წლის პირველი მატჩები ეროვნული ნაკრებებისთვის... ჰოდა, ესენივე საუკეთესო ფეხბურთელების გამოსავლენ გამოკითხვამაც თებერვლის სიომ დააბერა.

თებერვალი, მაისი, აგვისტო და ნოემბერი — აი, „სარბიელის“ წილი სამონაწილეო თვეები გამოკითხვაში, რომლის თაოსანი რუსული „სპორტ-ექსპრესია“.

ჩვენებური გოგა გაზოკიძე, უკრაინელი ანდრეი შევჩენკო, რუსები — ვალერი კარპინი, ალექსანდრ მოსტოვი და ალექსეი სმერტინი, ბელარუსები — მაქსიმ რომაშჩენკო და ალექსანდრ გლეზი. ასეთი იყო ორგანიზატორთა მიერ შემოთავაზებული სათებერვლო კანდიდატთა სია, რომელთაგან პოსტსაბჭოური სივრცის თხუთმეტი ქვეყნის სპორტულ გამოცემას ხუთი საუკეთესო ადგილებს მიხედვით უნდა დაესახელებინა.

აქვე „სარბიელის“ ვერსიაც: შევჩენკო („მილანი“, იტალია), გლეზი („შტუტგარტი“, გერმანია), გაზოკიძე („ტვენტე“, ჰოლანდია), სმერტინი („პორტსმუთი“, ინგლისი) და კარპინი („სოსიედალი“, ესპანეთი).

გამარჯვებულის გამოცნობა ალბათ დიდი თავსატეხი არ უნდა იყოს — „მილანის“ სუპერვარსკლავი ანდრეი შევჩენკო ცხრა გამოცემამ დაასახელა პირველ ადგილზე, ორობა მეორე, მესამე და მეხუთეზე, ერთმაც — მეოთხეზე.

საბოლოო ჯამში შევჩენკომ 63 ქულა დაგროვა და 18 ქულით გაუსწრო წინა თვის ლიდერ ვალერი კარპინს. „შევას“ სასარგებლოდ თებერვალში ბევრი რამ მეტყველებდა: სერია A-ს საუკეთესო ბომბარდირმა „მილანში“ ექვსი მატჩი ჩაატარა შეუცვლელად და თან წაუგებლად. მართალია, უკრაინელ ვარსკლავს ამაზე წარმატებული პერიოდიც ჰქონია, მაგრამ აქ მთავარი სხვა იყო — „მილანის“ შთამბეჭდავი თამაში, როგორც ჩემპიონატში, ისე ჩემპიონთა ლიგაში.

რამდენადაც სასიკეთოდ იმოქმედა კლუბის წარმატებულმა თამაშმა შევჩენკოზე, იმდენად „დაჩაგრდა“ „სოსიედალის“ უსუსურობით კარპინი თებერვალში ბასკებმა ხუთი თამაშიდან ოთხი წააგეს და ერთხელ ფრეს მიაღწიეს, რამაც, ცხადია, კარპინს პირველობის შანსები შეუმცირა, თუმცა საერთო ჯამში მისთვის მეორეობაც დიდ მიღწევად უნდა ჩაითვალოს.

გოგა გაზოკიძე — მის თამაშზე უკვე არა მარტო ჰოლანდიაში და საქართველოში ლაპარაკობენ. ესხედეს „ტვენტე“ წარმოდგენილი ჩანს ქართველი ნახევარმცველის გარეშე. რუსების თქმით, გაზოკიძე თებერვლას ადგილზე, თუმცა, ცხადია, ყველა ქართველს უნდა უნდა დაელოდებოდნენ.

ბერვლას ადგილზე, თუმცა, ცხადია, ყველა ქართველს უნდა უნდა დაელოდებოდნენ. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ თავდაცობასთან მიმართებით კონფლიქტის შემდეგ გოგას კარიერაში ბევრი რამ შეიცვალა. მან დაამტკიცა, რომ ფეხბურთის თამაში არავისზე ნაკლებ შეუძლია. 12 საგოლე პასით განზოკიძე საუკეთესო ასისტენტი ჰოლანდიაში.

გოგა ლიტვურმა „რუსუბლოკამ“ პირველ ადგილზე დაასახელა, უზბეკურმა „ფუტბოლ ექსპრესმა“ მეორეზე, „სარბიელმა“, „ჩეზავისიამა მოლოდინამ“, „ინტერფაქსმა“ (რუსეთი) და „კომანდამ“ (უკრაინა) — მესამეზე.

ჩვენებურთან ერთად რუსები ბელარუს მაქსიმ რომაშჩენკოსაც გამოარჩევენ, რომლის ყველაზე დიდ მიღწევად ახლანდელი კვირის ტურნირზე გატანილი სამი გოლი ითვლება. არადა, თურქულ „ტრაზონსფორში“ მწვრთნელთან კონფლიქტის გამო სათადარიგოთა სკამს ხეხავს.

ალექსეი სმერტინი ინგლისის თასზე „ლივერპულთან“ გატანილი გოლით თუ დაიკვირნის. მეხუთე ადგილი სწორედ ისაა, რასაც რუსეთის ნაკრების ვიცე-კაპიტანი იმსახურებს. გოლი კი იმად ფასობს ძვირად, რომ „პორტსმუთში“ „ლივერპულის“ დაჩაგრვით პირველად გააღწია თასის მეოთხედფინალში.

დაბოლოს, ორი ალექსანდრე — მოსტოვი და გლეზი 24-24 ქულით შეექვემოქმედებენ ადგილებზე არიან.

ასან ზალაზგარიაძე

ადრეც ვიუწყებოდით, ოთარ ხიზანეიშვილის საქმეები მოსკოვის „დინამოში“ უკეთესობისკენ მიდისო. ქართველი ფეხბურთელის მოსკოვური კლუბის ძირითადში დამკვიდრებას თითქმის აღარაფერი აკლდა. რაც ჩეხი მწვრთნელი გუბინი გუნდში მივიდა, „დინამოს“ ყველა ფეხბურთელს მისცა თავის გამოჩენის შანსი. ხიზანეიშვილმა ეს შესაძლებლობა ჩინებულად გამოიყენა. მას ჯერ შედარებით იშვიათად ენდობოდნენ, ბოლოს კი ხუთივე შეხვედრაში ათამაშეს. ოთარმა ადრინდელ ინტერვიუში გვითხრა, რომ „დინამოში“ მისი დარჩენა-არდარჩენა მოსკოვში დაბრუნების შემდეგ გადაწყდებოდა. „დინამო“ ბოლო, ჩეხურ შეკრებაზე, მხოლოდ კლუბისთვის საჭირო ფეხბურთელთა ნაყვანას გვემავდა. გუშინ ჩეხეთში მყოფ ხიზანეიშვილს შევეხმიანეთ და კარგი ამბავიც გავიგეთ...

მოსკოვის დინამოში ბევრი ვარსკვლავია

ხიზანეიშვილი ზი სულაც ზილანია



ლის პრობლემის შემდეგ მეც ხომ უნდა გამართლებოდა.

— ჩეხეთში შეკრება გუბინის ფაქტორმა განაპირობა?

— არა. ჩეხეთში შეკრება მანამდე იყო დაგეგმილი, რაც იმითაა გამოწვეული, რომ აქაური მოედნის საფარი რუსეთისას წააგავს. სპარინგ-პარტნიორებადაც რუსული პრემიერლიგის ყაიდის კლუბებს აქ გაცილებით იოლად შევარჩევთ. ჩვენ პრადიდან მოშორებით, პატარა ქალაქ ბლანში დავბანაკდით, აქაურ კლუბ „ხმელის“ ბაზაზე. პირობები საკმაოდ კარგია და ჩვენი ყურადღება ერთმა სახალისო ფაქტმაც მიიქცია, თითოეულ ოთახს თავისი სახელი აქვს. მაგალითად, პელე, ზილანი, შილტონი, რონალდო და ასე შემდეგ. შუადღისას, სადილობისას, ყველას ჩვენი ოთახის სახელი გვერქვა და ასე მომრავლდნენ „ბექეები“, „რონალდოები“. მე ზილანი „გავხდი“.

— ჩეხეთში ახალი ფეხბურთელები არ დაგეგმატებინ?




— გუბინი ახლა ძირითადად ნახევარდაცვის და განსაკუთრებით შეტევის გაძლიერებაზე ფიქრობს. გერმანული „კაიზერსლაუტერნიდან“ ლოკვენცის ყიდვა სურდა, მაგრამ ეს ვარიანტი ბოლოს ჩაიშალა. ახლა სამხრეთ აფრიკის ნაკრების ფორვარდი მხლონგო შეიძინა.

დავით შარაძე

— კლუბში საქმეები კარგად მიმდის და არსად წასვლაზე აღარ ვფიქრობ. „დინამოს“ ძირითადში თამაშის გარანტიები მივიღე. სიმართლე გითხრა, ამ ეტაპზე „დინამოზე“ უკეთესი წინადადებები და ვარიანტები არც მქონია. გუბინის მოსვლის შემდეგ ჩემი საქმეები გაცილებით უკეთ აწეწო.

— შეგვიძლია, უკვე დინამოელად ჩაეთვალოთ?

— ასეა. მოსკოველები დაცვაში ფეხბურთელების დამატებას არ გეგმავენ. მოკლედ, ახლა მხოლოდ ახალ სეზონზე ვფიქრობ. ამდენი ტრავმისა და მოულოდნელი თვა-



სპორტ-მეცნიერების გამოკითხვა

თანამშრომლობისა და ბალტიისპირეთის ქვეყნების საუკეთესო ფეხბურთელი

თებერვალი	1	2	3	4	5	63
ანდრეი შევჩენკო (უკრაინა)	9	2	2	1	2	63
ვალერი კარპინი (რუსეთი)	1	6	3	1	5	45
გოგა გაზოკიძე (საქართველო)	1	1	4	3	4	31
მაქსიმ რომაშჩენკო (ბელარუსი)	1	2	2	4	1	28
ალექსეი სმერტინი (რუსეთი)	2	1	1	4	-	25
ალექსანდრ მოსტოვი (რუსეთი)	2	-	2	3	2	24
ალექსანდრ გლეზი (ბელარუსი)	-	4	2	-	2	24

იანვრის შედეგები	69
კარპინი (რუსეთი)	69
შევჩენკო (უკრაინა)	67
დარბასალი (საქართველო)	36
სმერტინი (რუსეთი)	26
პრეპოლატი (საქართველო)	25
სიჩოვი (რუსეთი)	14
კალინინი (ლატვია)	3

ქვეყანა/მედია	პირველი	მეორე	მესამე	მეოთხე	მეხუთე
აზერბაიჯანი „ეხო“	შევჩენკო	კარპინი	გლეზი	მოსტოვი	ბასოქიძე
სომხეთი „არმენია TV“	შევჩენკო	კარპინი	გლეზი	რომაშჩენკო	ბასოქიძე
ბელარუსი „სპორტივნიკი პანორამა“	რომაშჩენკო	კარპინი	სმერტინი	ბასოქიძე	შევჩენკო
საქართველო „სარბიელი“	შევჩენკო	გლეზი	ბასოქიძე	სმერტინი	კარპინი
ყაზახეთი „ვრეშია“	სმერტინი	გლეზი	შევჩენკო	კარპინი	მოსტოვი
ყირგიზეთი „მოია სტოლიცა-ნოვოსტი“	სმერტინი	რომაშჩენკო	კარპინი	შევჩენკო	ბასოქიძე
ლატვია „ჩასი“	მოსტოვი	შევჩენკო	რომაშჩენკო	სმერტინი	კარპინი
ლიტვა „რესპუბლიკა“	ბასოქიძე	კარპინი	რომაშჩენკო	სმერტინი	შევჩენკო
მოლდოვა „ნეზავისიმიამა მოლდოვა“	შევჩენკო	გლეზი	ბასოქიძე	რომაშჩენკო	კარპინი
რუსეთი „ინტერფაქსი“	შევჩენკო	კარპინი	ბასოქიძე	მოსტოვი	რომაშჩენკო
ტაჯიკეთი „აზია პლუსი“	მოსტოვი	შევჩენკო	კარპინი	სმერტინი	ბასოქიძე
თურქმენეთი „ბეკი თურქმენბაში ნესლი“	შევჩენკო	რომაშჩენკო	მოსტოვი	ბასოქიძე	კარპინი
უზბეკეთი „ფუტბოლ ექსპრესი“	კარპინი	ბასოქიძე	შევჩენკო	რომაშჩენკო	მოსტოვი
უკრაინა „კომანდა“	შევჩენკო	გლეზი	ბასოქიძე	რომაშჩენკო	კარპინი
ესტონეთი ETV	შევჩენკო	კარპინი	მოსტოვი	ბასოქიძე	გლეზი
სპორტ-ექსპრეს ინტერნეტი	შევჩენკო	სმერტინი	კარპინი	მოსტოვი	გლეზი

პირველი ადგილი — 5 ქულა, მეორე — 4, მესამე — 3, მეოთხე — 2, მეხუთე — 1

ფეხბურთი
ეროვნული სტადიონი
საქართველოს თასი
7 მარტი
1/8 ფინალი. პირველი მატჩი

ამერი — სპარტაკი
თბილისი თბილისი

დასაწყისი 15 საათზე
დასრუბა უფასოა

ბევრჯერ თქმულა, რომ საქართველო მაღალი კლასის ფეხბურთელებით ღარიბია, მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე ჩვენი კარგ ევროპულ გუნდში თამაშობს.

პოლანდიური „ტვენტე“ სახელით და ტრადიციებით არ ქუხს, მაგრამ მშობა ბასმოში ამ სეზონში იქ წარმატებულად რომ თამაშობს, ნაღდი ამბავია. პოლა, არც ისაა გასარჩევი, რომ ვახოკიძე ჩვენი ეროვნული ნაკრებისთვის საჭირო კაცია.

გოგას გუშინ ტელეფონით კი ვესაუბრეთ, მაგრამ ძველ-ახალი ამბების გულიანად ვახსენება, იმედია, ცოტათი მაინც გამოგვივიდა



საჭირო კასი ნაკრებისთვის გახოკიძე ტკივილების შაფაფ

— პოლანდიის ჩემპიონატის ბოლო მატჩი გრიპინამ ვითამაშე და ავადმყოფობაც გამირთულდა — დღეს თავზე რენტგენი გადავიღე და აღმოჩნდა, რომ თავში რაღაც ინფექციაა. ექიმებმა წოლითი რეჟიმით დამინიშნეს — ერთი კვირა ალბათ უქმად მომიწევს ყოფნა.

— შეიძლება ითქვას, რომ „პსვეინდჰოვენის“ შემდეგ გოგა ვახოკიძემ „ტვენტეში“ საკუთარი თავი იპოვა?

— ამ სეზონში მართლაც კარგად წამივიდა საქმეები. ამას წინათ პსვე-ს მესვეურებს შევხვდი და მითხრეს, ჩვენთან ამის ნახევარი რომ გეთამაშა, რასაც ახლა „ტვენტეში“ თამაშობ, ბევრად უფრო კარგად წარმოაჩენდი თავსო. სამწუხაროდ, პსვე-ში თავის გამოჩენის საშუალება არ მქონია, „ტვენტეში“ კი უკვე 13 საგოლე პასი გავაკეთე, კარგად ავითამაშდი და კლუბის ხელმძღვანელობისგანაც დიდ სითბოს ვგრძნობ.

— ისეთ სითბოს, რომელიც საქართველოში არ გიგრძნობ?

— ყველაზე დიდი სითბო ფოთის „კოლხეთში“ ვიგრძენი და იქ გატარებული სეზონი არასდროს დამავიწყდება.

— ფოთის „კოლხეთმა“ მაშინ ინტერტოტოს თასზე თამაშა ფრანგულ „გენგამთან“ და გოგა ვახოკიძემ მაშინ გაიცნო ქართულმა საფეხბურთო სამყარომ. „კოლხეთის“ მერე ვლადიკავკაზის „ალანიაში“ ავიყვანა — რა მოგცა „ალანიაში“ გატარებულმა პერიოდმა?

— რუსეთში ბრძოლა ვისწავლე და ფიზიკურად მოვლონიერდი. ვალერი გაზაევს ისეთი ვარჯიშები ჰქონდა, რომ რაც პოლანდიაშია, ეს ვახავეისთვის გახურება იყო. ვფიქრობ, რუსეთში თამაში ახალგაზრდა ფეხბურთელისთვის კარგია, ჯანზე მოდიხარ.

— და როგორ აღმოჩნდი ოსეთიდან პსვე-ში?

— „ეინდჰოვენის“ მაშინდელ მწვრთნელს მოვეწონე — ბობი რობსონმა თვითონ მითხრა, აქ ჩემი რეკომენდაციით მოხვედით. პსვე-ს

ეს ტრანსფერი ექვსი მილიონი გულდენი დაუჯდა.

— მერე რაღა მოხდა, რატომ ვერ აეწყო შენი საქმეები პსვე-ში?

— წელი ცოტათი „ალანიაში“ მაწუხებდა და პოლანდიაში რომ ჩავედი, ალბათ ცივმა ჰავამ ცუდად იმოქმედა და ტკივილმაც ერთობ შემაწუხა. რა არ ვცადე, მაგრამ ხუთი თვე წელი ვერ მოვირჩინე. წელის ტკივილის გამო ფეხს ვერ ვამოძრავებდი და დროც გამიცდა. მერე ექიმებმა ერთი ნემსი გამიკეთეს და ეგრევე მოვრჩი — ტკივილები იმიტომ გაიწვლა, რომ ზუსტი დიაგნოზი ვერ დამიდგინეს.

— გამოჯანმრთელების შემდეგაც პრობლემები გქონდა...

— ამდენი ხნის უქმად ყოფნის გამო ფორმაში, აბა, როგორ ვიქნებოდი. თანდათან დავიწყე ფორმის აღდგენა, მაგრამ რობსონი აღარ მენდობოდა, ათი წუთით თუ შემიმშვებდა სათამაშოდ. სეზონის ბოლო მატჩში კი 35 წუთით შემიმშვა „უტრეხტთან“ — 0:2 ვაგებდით და 3:2 მოვიგეთ, ჩემს გარდა გოლი რუუდ ვან ნისტერლოიმაც გაიტანა.

— ამის მერე პსვე-მ ისრაელის „მაკაბი ხაიფაში“ გაგანათხოვრა. როცა „ეინდჰოვენში“ დაბრუნდი, რა ვითარება დაგხვდა?

— ისრაელში ერთი წელი დავყავი და პსვე-ში დაბრუნებულს მწვრთნელად უკვე ერიკ გერეტსი და მხვდა. გერეტსმა პსვე-ს მეორე გუნდში გამიშვა და მეც იქ წავედი. სხვა რა უნდა მექნა, პირველ გუნდში აღარც კი მავარჯიშებდნენ. მეორე გუნდში საქმეები კარგად წამივიდა, ბომბარდირიც კი ვავხდი 25 გოლით. მომდევნო სეზონისთვის კი გერეტსმა პირველ გუნდში მიხმო და 34 თამაშიც ვითამაშე.

— გერეტსი გუუს ჰიდინკმა შეცვალა და კვლავ პრობლემები შეგექმნა...

— ჰიდინკთან ერთად პსვე-ში არიელ რობენიც მოვიდა, ჩემი ამპლუის ფეხბურთელი, ვინც ახლახან „ჩელსიში“ იყიდა. ჰიდინკმა მითხრა, შენ მადგენლობის კაცი ხარო და შეკრებაზეც ყველა მატჩი ვითამაშე და

იწყო სეზონი და „ოსერთან“ გვაქვს მატჩი ჩემპიონთა ლიგაზე, მე კი იქ, სადაც გუნდი იკრიბებოდა, ხუთი წუთით დავაგვიანე და აქედან დაიწყო ყველაფერი — ჰიდინკმა ხუთი თამაში სკამზე კი არა, ტრიბუნაზე დამსვა, ამასობაში რობენი კარგად ათამაშდა და მეც აღარ ვხვდებოდი ძირითადში. თანაც უცხოელს სხვანაირად გიყურებენ — აქაურებზე ბევრად, სამჯერ-ოთხჯერ მაგარი უნდა იყო, დაახლოებით ასეა საქმე, მაგრამ ეგრე სად არის?! თანაც პსვე-ში...

— „ტვენტეში“ გადასვლამდე გქონდა შემოთავაზებები სხვა კლუბებიდან?

— არა, სხვა შემოთავაზება არ ყოფილა. „ტვენტეში“ გადასვლამდე თითქმის ყველაფერი დაკარგული მქონდა, ფიზიკურად და ფსიქოლოგიურად თავს ძალიან ცუდად ვგრძნობდი, ფეხბურთისთვის თავის დანებებაზეც კი ვფიქრობდი, მაგრამ ასეთი სიტუაციიდან გამოსვლა მოვახერხე — „ტვენტეში“ ყველაფერი კარგად წავიდა.

— გულისტკივილი და გაწბილება ალბათ ნაკრებშიც გქონდა — ძირითადში ხშირად ვერც ეროვნულ გუნდში ხვდებოდი...

— ასე იყო ყოველთვის, როცა ნაკრებში მიძახებდნენ და არ მათამაშებდნენ. ასეთი განცდები რა არის, მხოლოდ ფეხბურთელმა და ფეხბურთში ძალიან კარგად ჩახედულმა თუ იცის.

— წინა შესარჩევ ციკლში ალბანეთთან მატჩში მერაბ ჟორდანასთან მომხდარი ინციდენტი ამოწურულია?

— ვცდილობ, ეს დავიწყებას მივცეს — ჩემი მხრიდან ინციდენტი ამოწურულია.

— პოლანდიაში თუ იციან რამე ჩვენი ნაკრების შესახებ?

— არველაძეების და ქინქლაძის გარდა იმ ქართველებსაც იცნობენ, პოლანდიაში რომ არ უთამაშიათ. პოლანდიელებს უკვირთ და აინტერესებთ, რატომ არ გყავთ კარგი ნაკრებიო.

— ვცდილობ, ეს დავიწყებას მივცეს — ჩემი მხრიდან ინციდენტი ამოწურულია.

— პოლანდიაში თუ იციან რამე ჩვენი ნაკრების შესახებ?

— არველაძეების და ქინქლაძის გარდა იმ ქართველებსაც იცნობენ, პოლანდიაში რომ არ უთამაშიათ. პოლანდიელებს უკვირთ და აინტერესებთ, რატომ არ გყავთ კარგი ნაკრებიო.

დავით თავართქილაძე

შედეგი სკალას სახეზეა

ლომაია ჟირასი ვერ დაიჯერა

ხუთთვიანი ლოდინის მერე ბიორბი ლომიძემ მოსკოვის „სპარტაკის“ კარში ადგილი მოიპოვა და ცენტრალური-თავის მხარის დათმობას არ აპირებს. საქართველოს ნაკრების შექმნა უფროს თანხის მეთექვსმეტედფინანსში „მალიორკასთან“ საპასუხო მატჩშიც ერთ-ერთი საუკეთესო იყო და, რუსი ჟურნალისტების თქმით, სულ მცირე, სამჯერ იხსნა კარი... ერთი სიტყვით, ნევიო სკალა თავის ძველ შევირდზე, პოლონელ კოვალევსკიზე მეტად ლომიას ენდობა და ჩვენი ნაკრებიც თავს არ ირცხვენს.

გუშინ ესპანეთიდან დაბრუნებულ ლომიას მოსკოვში შევეხმიანეთ და „მალიორკასთან“ მატჩის გარდა სხვა თემებზეც ვესაუბრეთ...

— „სპარტაკის“ მოგებას ალბათ არავინ ელოდა...

— სიმართლე გითხრა, დიდი იმედით ჩვენც არ გვექონდა, მაგრამ მოვინდომეთ და გამოგვივიდა. სამწუხარო ისაა, რომ გავვარდით.

— ჰო, მაგრამ, ამ გუნდისგან მეტის მოთხოვნა ალბათ ნამეტანი იქნებოდა...

— არც ეგრა საქმე. მოსკოვში უფრო ყურადღებით რომ გვეთამაშა და ბავშვური შეცდომები არ დაგვეშვა, „მალიორკას“ გაგდებოდა რეალურად ვიფიქრებდით. მერვედფინანსში გასვლა შეგვეძლო...

— პირველი მატჩის ანგარიშიც ხომ გასათვალისწინებელია. ეტყობა, „მალიორკა“ ზედმეტ გართულებებს მოერიდა და თავი შეინახა.

— არა მგონია ეგრე იყოს. „მალიორკას“ ესპანეთის ჩემპიონატში საქმეები ცუდად მისდის და ჩვენთან მოგება ძალიან უნდოდა. ამით ფსიქოლოგიურ განწყობასაც გამოიკეთებდა და გულშემატკივრების გულსაც მოიგებდა, მაგრამ არ გამოუვიდა. ერთი გენახათ, სტადიონზე რა ხდებოდა. მაყურებლებმა საშინელი სტვენით გააცილეს „მალიორკა“. ასეთ დროს თავის შენახვაზე ფიქრი გამორიცხებულია.

— ესე იგი, მეტოქეს აჯობეთ...

— ეგრა. რამდენიმე ხელსაყრელი მომენტიც ვერ გამოვიყენეთ.

— მომენტები ესპანელებსაც ჰქონიათ, მაგრამ...

— თავიდან მაგრად შემოგვიტიეს. მერე უპირატესობა ჩვენი იყო, მაგრამ ბოლო წუთებზე დაცვა ვითამაშეთ და მაშინაც ორი-სამი კარგი მომენტი ვერ გამოიყენა „მალიორკამ“.

— რუსი ჟურნალისტების თქმით, ეს სწორედ შენი „ბრალი“ ყოფილა...

— მე ჩემი საქმე გავაკეთე. ვერ ვიტყვი, რომ განსაკუთრებულად ვითამაშე. უბრალოდ, მთელმა გუნდმა კარგად ითამაშა. ისე, საკუთარი თავის უკმაყოფილოც არ ვარ.

— მაინც რამ განაპირობა „სპარტაკის“ რამდენიმე დღეში ასეთი გარდაქმნა?

— ბევრი არაფერი შეცვლილა. ესპანეთში უფრო შეკრული გუნდი ვიყავით. თან მალიორკელებმაც იფიქრეს, ამით იოლად მოგუგებოთ და დაისაჯნენ.

— ნევიო სკალა პირველი სპარტაკული მოგებით გახარებული იქნება...

— ძალიან გაუხარდა, მაგრამ სახეზე ისიც ეტყობოდა, რომ გავარდნამ გული დასწყვიტა. ვიცი, ახლაც იმას ფიქრობს, რომ მოსკოვში დაშვებულმა შეცდომებმა დაგვლუპა და სხვამ არაფერმა. „მალიორკა“ უნდა გავგვეგლო.

— შეიძლება ითქვას, რომ უკვე ძირითადი მეკარე ხარ?

— არა. ასე თუ ვიფიქრე, ვერაფერს მივაღწევ. ორივე კონკურენტი ძალიან ძლიერია და მოდუნების უფლება არ მაქვს. მარტო თამაშებზე კი არა, ვარჯიშებზეც უნდა დავამტკიცო, რომ საუკეთესო ვარ. სხვაგვარად სკამზე დამსვამენ.

— 7 მარტს რუსეთის სუპერთასი გელით...

— ცსკა დღეს ერთ-ერთი საუკეთესო რუსეთში და ძალიან რთული მატჩი იქნება. ზვალიდან შეკრებაზე გადავიდეთ და ამ შეხვედრისთვის მოვემზადებით. ცხადია, სკალას ძალიან უნდა, „სპარტაკში“ ტიტული მოიგოს... ახლა ის მითხარი, საქართველოს ნაკრებში ახალი არაფერია?

— ალენ ჟირესი კონტრაქტის გასაფორმებლად ჩამოდის თბილისში.

— ბიშოვეცი და მიშელი საბოლოოდ გამოირიცხა?! არ ვიცოდი, ჟირესი თუ ასე რეალური იყო.

— ასეა...

— სანამ კონტრაქტი არ გაფორმდება, ვერ დავიჯერებ. ადრეც ასე ამბობდნენ და მერე... თუმცა დალოდებას წინ რა უდგას, დანიშნონ და იქნებ რამე გვეშველოს. ევროპელი მწვრთნელი მაინც სხვა დონეა.

ბასა ზალაზგბერიძე





ფერარ ულიეს გამორჩეულად სტივენ ჭერარდი მოეწონა

ამჟვეყნიური ღივარჰული იმჰარაბორი იმჰყენალ მიღის

„ინტერნაციონალეს“ ფეხბურთელები ჯერჯერობით მაისურებს ინარჩუნებენ, ანუ განდას გადარჩენენ, მაგრამ ზევ რომშიც თუ ისევე ითამაშეს, როგორც „სომოსთან“, ტიფოზები უეჭველად გააშიშვლებენ. ალბერტო ძაკერონიმ „ბრემასთან“ მარცხის შემდეგ ხუთი ფეხბურთელი შეცვალა. „შავ-ლურჯებს“ ამანაც არ უშველა, რადგან ფრანგები პირველი ტაიმის მერე მასპინძლებზე უკეთ ათამაშდნენ.

ბრაზილიელ სანტუსს ორჯერ ჰქონდა კარგი საგოლე მომენტი, თუმც ტოლდომ იყოჩადა. ბოლოს დამხვდურებმა გვარიანად ინერვიულეს, კრისტიან ვიერი კი უხეშობისთვის გააძევეს. „ბობომ“ მეტოქეს სიფათში იდაყვი ჰკრა და ალბათ ერთმატნიანი დისკვალიფიკაციას ააკრავენ.

მოკლედ, „ინტერი“ ინტერულად გაძრა მერვედფინალში — შინ გამოწურული უგოლო ფრით. მიუხედავად ამისა, ძაკერონიმ თქვა, ჩვენ ვიმასხურებთ ამ წყვილიდან ვასვლასო. ხოლო „სომოს“ მწვრთნელი გი ლაკომბი მიღანშიც პირველ შეხვედრას მისტიროდა: „მამინ კარში 27-ჯერ დავარტყით და ორჯერ გავიტანეთ, „ინტერმა“ კი ორჯერ დავგერტყა და ორივეჯერ ხეირიანად. ეს ხომ უიღბლობაა“.

ლუის არაგონესმა თავი მერვედფინალში დაიგულა და „სპარტაკთან“ ძირითადი შემადგენლობის ექვსი ფეხბურთელი დაასვენა, მთავარმეგობელ სამუელ ეტლოს კი სულის მოთქმის საშუალება არ მისცა.

კუნძულებს საკმაო ფორა ჰქონდათ და მეტოქეს შეტევა აცალეს, თუმც პირველი სახიფათო მომენტი მასპინძლებმა შექმნეს — ბურთი კარის ხარისხას მოხვდა.

ამის შემდეგ „სპარტაკი“ მომძლავრდა და ტაიმის მიწურულს იხეირა. მიხაილო პიანოვიჩმა სამელოვი მიკისთან პირისპირ გაიყვანა და ყმაწვილმა ფორვარდმა ათიოდ მეტრიდან ანგარიში გახსნა.

ქართულმა მეკარემ ორჯერ იყოჩადა. შესვენებამდე სამუელ ეტლოს არ გაატანინა, ხოლო შეხვედრის ბოლოს ხესუს პერეირას ერთი ერთზე აჯობა.

მოსკოველებს ინტრივის დათესვა შეეძლოთ, მაგრამ ჰრმანის დარტყმული მწეწუთზე ხარისხამ აისხლიტა.

„სპარტაკი“ 1980 წლიდან ევროთასებზე მუდმივად თამაშობდა, მომავალი სეზონიდან კი ევროპას ვედარ მოსინჯავს. „სახალხო გუნდის“ ნახევარსაუკუნოვანი სერია შეწყდა. ნევიო სკალა: „შედეგით კმაყოფილი ვარ, მით უმეტეს, ჩვენ ფსიქოლოგიურად განწყობა შეეძელით და დავამტკიცეთ, რომ „სპარტაკი“ ხელწამოსაკრავი არაა“.

„ესპანოლისგან“ ნაკვეთმა რაფაელ ბენიტესმა სტამბოლში გვარიანად შეცვლილი გუნდი ჩაიყვანა, რაც ტრავმებით და ტაქტიკური მოსაზრებით იყო გამოწვეული.

„ბეშიქთაშს“ სწრაფად გატანა სურდა. მასპინძლები უმაღლე მიასკდნენ „ვალენსიას“ საჯარიმოს და სტუმართა პირველივე კონტრიეიში გოლით დასრულდა. მიგელ ანხელ ანგულო ეულად შეეყარა ოსკარ კორდობას და გატანა არ გასჭირვებია.

დამხვდურთაგან დანიელ პანჩუ გამორჩეულია. რუმინელს ვალენსიაში დაწყებული გაგრძელება ეწადა, მაგრამ რეალური ეპიზოდი ჩააფლავა. პალოპთან პირისპირ გასულმა ბურთი კარს გარედან მოარტყა.

ესპანელებმა მეორე ნახევარიც შედეგიანად დაიწყეს. მუნიოსის ფლანგური პასით ზუსტი თავურით იხეირა. „ბეშიქთაში“ ბოლოს კაცნაკლული დარჩა. ძაგო კარლოს მარჩინასთან უხეშობისთვის გააძევეს.

რაფაელ ბენიტესი: „თურქებმა შინ უარესად ითამაშეს, ვიდრე „მესტალიასზე“, ამიტომ ისე დაგვრჩნოდა, მათი შეცდომები გამოგვეყენებინა“.

მირჩა ლუჩესკუ: „მოწინააღმდეგეს ბუერი მცველი ჰყავდა, ეს ნიშნავს, რომ „ბეშიქთაშს“ ევროპაში უფროთხიან და აფასებენ“.

„ბეშიქთაშს“ მიჰყვა მოშუღლე „გალათასარაიც“, რომელიც ესპანეთში შეარცხვინეს. „გალას“ ჰაკან შუქურიც ჰყავდა, მაგრამ ნავადარმა „ბოსფორის ბუღამ“ გუნდს გოლი ვერ შეაწია.

„ვილიარეალმა“ სტამბოლელები მეორე ტაიმის დასაწყისში მოგუდა. რიკელმეს პასით სონი ანდერსონმა

მონდრაგონს პირველი გაუტანა. შემდეგ როზერმა წინ გამოსული კოლუმბიელი მეკარე დაინახა და ბურთი „ციხარტყელით“ კარში ჩასრიდა. „გალათასარაის“ რბევა რიკელმემ შეხვედრის დამთავრებამდე წუთით ადრე დაასრულა.

სტამბოლში დაბრუნებულმა ფათიჰ თერიმმა განაცხადა, რომ გადადგომას აპირებს, რადგან წააგო ყველაფერი, რაც წასაგებია. ჩემპიონატში პირველობის შანსი, ფაქტობრივად, აღარ აქვს, გასულ კვირას ძირძველ მეტოქე „ფენერბაჰჩესთან“ დამარცხდა, უეფას თასიდან კი კინწისკვრით გააგდეს. „იმპერატორად“ წოდებული თერიმი ამ დღეებში კლუბის პრეზიდენტს შეხვედრა და საბოლოო გადაწყვეტილებას მიიღებს.

„გაზიანთეფსორი“ იმუქრებოდა, რომიდან გამარჯვებულები დაბრუნდებითო, მაგრამ ფაბიო კაპელომ თურქებს გამოთვლილი ანგარიშით მოუგო და ისე დაიფრინა გათამაშებიდან.

მანსინის ქუსლური პასით ემერსონმა იხეირა, ხოლო შემდეგ კარუ-კასანოს ორშეხება მეორე გოლით დასრულდა. „გაზიანთეფს“ მხოლოდ ერთი საპასუხოს გატანა სჭირდებოდა. საამისოდ დრო და მცირე მომენტები მეორე ტაიმში სტუმრებს ჰქონდათ, მაგრამ პელიცოლი ვერ დაჯაბნეს.



ჰაკან შუქურს და ფათიჰ თერიმს თავი არსად გამოეყოფათ

უეფას თასი

UEFA CUP 1/16 ფინალი. საპასუხო მატჩები UEFA CUP

მალბორკა (ესპანეთი) 0:1 სპარტაკი (მოსკოვი, რუსეთი) (3:0)
0:1 სამელოვი (44)
მალბორკა: მიკი, ლუსენზოვი, ედუ მოია, ოლაპუილა, რეკორე (გოლსა 94), ნენე, მარკოსი, ტონი გონსალესი, ეტო (მეორეა 46), პრუგინი, კორია (კამპანო 60)
მწვრთნელი: ლუის არაგონესი
სპარტაკი: ლომბაძე, პარფიონოვი, მიტრესკი, კოვტუნი, პეტკოვიჩი, სამელოვი, ტრობოკი, ივანოვი, ჰრმანი, კალინიჩენკო, პიანოვიჩი
მწვრთნელი: ნევიო სკალა
გაფრთხილება: ივანოვი (13), ტონი გონსალესი (38), მარკოსი (38), კოვტუნი (73), მიტრესკი (87)
მსაჯი: სტეფან ბრე (საფრანგეთი)
5 000 მაყურებელი

ნიუკასლ იუნაიტედი (ინგლისი) 3:1 ვოლფრენბა (ნორვეგია) (1:1)
1:0 შირერი (19), 1:1 ჰაგენი (25), 2:1, 3:1 ამეზი (47, 89)

ბორდო (საფრანგეთი) 4:1 ბროცლინი (პოლონეთი) (1:0)
1:0 პლანუსი (41), 2:0, 3:0 შამახი (42, 65), 4:0 რიერა (74), 4:1 სვიერტესკი (90)
გაძეგება: აფანუ (84, „ბორდო“)

დნიპრო (დნეპროპეტროვსკი, უკრაინა) 0:0 მარსელი (საფრანგეთი) (0:1)
რომა (რომა, იტალია) 2:0 ბაზიანთიფსუპორი (თურქეთი) (0:1)
1:0 ემერსონი (23), 2:0 კასანო (43)

ბენფიკა (თურქეთი) 3:0 პარმა (იტალია) (1:0)
1:0 დამისი (37), 2:0 მ. ფერარი (81ს.კ.), 3:0 თანდოგანი (90)
გაძეგება: ს. ფრეი (34, „პარმა“)

კსკ ვინდჰოვენი (პოლანდია) 3:1 კპრუჰა (იტალია) (0:0)
1:0 პოლანდია (22), 2:0, 3:0 კუშმანი (44, 48), 3:1 ზე მარია (88)

ტიმპლიცე (ჩეხეთი) 1:0 სელტიკი (გლასგო, შოტლანდია) (0:3)
1:0 მაშკი (35)

პანათინაიკოსი (ათენი, საბერძნეთი) 0:1 ოსპრი (საფრანგეთი) (0:0)
0:1 კალუ (72)

ლესპი (სოფია, ბულგარეთი) 2:4 ლიპარკული (ინგლისი) (0:2)
0:1 ჯერარდ (7), 0:2 ოუენი (11), 1:2 გ. ივანოვი (28), 2:2 სიმონოვიჩი (42), 2:3 ჰამანი (44), 2:4 ჰიბია (67)

მილარკალი (ესპანეთი) 3:0 ბალათასარაი (სტამბოლი, თურქეთი) (2:2)
1:0 ს. ანდერსონი (48), 2:0 როზერი (52), 3:0 რიველმე (89)
დებრეცენი (უნგრეთი) 0:0 ბრიშე (ბელგია) (0:1)

ბარსელონა (ესპანეთი) 2:1 ბრონდბიუ (კოპენჰაგენი, დანია) (1:0)
1:0 ლუის გარსია (13), 2:0 კოკუ (43), 2:1 პ. ნილსენი (83)

ინტერი (მილანი, იტალია) 0:0 სომ (საფრანგეთი) (2:2)
გაძეგება: ვიერი (86, „ინტერი“)

რუსენბორგი (ტრინკოვი, ნორვეგია) 2:1 ბენჰა (ლოსპოზი, პორტუგალია) (0:1)
1:0 ო. ბერგი (7), 2:0 კარადასი (15), 2:1 ნუნუ გომეში (19)
გაძეგება: ნუნუ გომეში (42, „ბენფიკა“)

ბეშიქთაში (სტამბოლი, თურქეთი) 0:2 პალენსია (ესპანეთი) (2:3)
0:1 ანგულო (12), 0:2 ხუან სანჩესი (57)
გაძეგება: ძაგო (90, „ბეშიქთაში“)

ფაბიო კაპელო: „შესვენების მერე მეტოქე გავტეველა და, ცხადია, ვერეულობდა. ჩვენი უპირატესობა შეიძლება, უცხად გამქრალიყო. მატჩამდე ბიჭებს ორი გოლი ვთხოვე და დავალება ზუსტად შეასრულეს“.

ოთხი თურქული გუნდიდან უეფას თასს ერთი შემორჩა — ანკარის „გენკლერბირლიგი“. ეს დედაქალაქელებისთვის განსაკუთრებით სასიხარულოა, რადგან სტამბოლელი ვეშაპები — „გალათასარაი“ და „ბეშიქთაში“ გაღმა დარჩნენ.

„გენკლერბირლიგი“ „პარმასთან“ თავიდანვე კარგად დაიწყო. მასპინძელთა გვინეელი ფორვარდი სულემიან იულა რამდენჯერმე დაუსხლტა მცველებს. პირველად თულამ მომენტი გაანია, მომდევნო ორი ეპიზოდში კი სებასტიან ფრეის გადაეყარა. ფრანგმა მეკარემ ორჯერვე წააქცია გვინეელი. ანკარელები პენალტს ითხოვნდნენ და მეორე ჯერზე მიიღეს, თან ერიკ პოლამ თანამემამულე ფრეი გააძევა.

სტუმართა მწვრთნელმა ბენიტო კარბონე გაიყვანა, კარში კი მარკო ამელია ჩადგა და დაემსისგან იმწამსვე პენალტი გაუშვა. კაცნაკლული „პარმა“, ცხადია, ცუდ დღეში ჩავარდა. ორი გოლის გატანა სჭირდებოდა, მაგრამ უკანმოუხვდავად ვერ უტევედა. იტალიელები მატჩის ბოლო ათ წუთში გატევენ. მატჩი ფერარამ თავი ბურთი საკუთარ კარში ჩაჭრა, ხოლო შემდეგ ამელიას შეცდომით თანდოგანმა ისარგებლა და ანგარიში სხვაობა სამამდე გაზარდა. „ბარსელონამ“ მიჯრით მერვე შეხვედრა მოიგო. ფრანკ რაიკარდმა ნამატჩეკვს აღნიშნა, ჩვეულად შთამბეჭდავად ვერ გამოვიყურებოდით, მაგრამ ყოველთვის ერთ ღონეზე კარგად თამაში შეუძლებელიაო“.

შინ გულმოდგინედ მობურთალ „რუსენბორგთან“ „ბენფიკას“ გაუჭირდა. ბერგისა და კარადასის სწრაფ გოლებს ნუნუ გომეშის ერთმა საპასუხომ სულზე მიუსწრო. გომეში პირველი ტაიმის მიწურულს გააძევეს და კაცმეტმა ნორვეგიელებმა დაცვაში გამაგრებული მეტოქე ვეღარ გაარდვიეს.

„ლივერპულის“ მწვრთნელმა განსაკუთრებით მაიკლ ოუენის კარგი თამაშით გაიხარა. ულიემ კიდევ სტივენ ჯერარდი გამოარჩია, რომელიც ჩვეულ ფორმას უბრუნდება და, ფრანგი მწვრთნელის აზრით, ეს „ლივერპულის“ „ამ ქვეყნისკენ“ მობრუნების ნიშანია.

მათა ხუციშვილი

უეფას თასი



ლაბაზი წყვილი პალენსიას თურქული არ ასცდა

ბოლო გათამაშების ფინალისტი, გლაზგოს „სელტიკი“ „ბარსელონას“ შეხვდა — ნიონში გამართულმა უეფას თასის კენჭისყრამ მერვედფინალური წყვილების გარდა მეოთხედფინალისა და ნახევარფინალის ბადეც გამოავლინა. საინტერესოა, რომ შეჯიბრებას შემორჩენილი თექვსმეტი გუნდიდან შვიდი უეფას თასს ფლობდა, მათ რიცხვში შემოსხენებული „სელტიკი“ და „ბარსა“.

კენჭისყრამ ერთმანეთს ესპანეთისა და ბრიტანეთის კიდევ ორი გუნდი დააკავშირა — „მალორკა“ „ნიუკასლს“

შეხვდა, ხოლო ესპანეთის მესამე გუნდი, არცთუ შორეულ წარსულში ჩემპიონთა თასის ფინალში ორჯერ ნამყოფი „ვალენსია“ თურქულ „გენჯილერბირლიგის“ დაუპირისპირდება.

კიდევ ერთი თვალშისაცემი წყვილია უეფას თასის ორგზის მფლობელი „ბენფიკა“ და სწორედ ის „ინტერი“, რომელმაც ლისაბონელებს 1965 წელს ჯილდოს მესამედ მოპოვების საშუალება არ მიესცა — თავად მიიგო. ჩემპიონთა თასის ოთხგზისა და უეფას თასის სამგზის მფლობელი „ლივერპული“

„მარსელს“ შეახვედრა ბედმა. „ვილიარეალი“ — მეოთხე ესპანური გუნდი — რომელიც ამ შეჯიბრებაში ინტერტოტოს თასიდან მოდის, „რომას“ გადაეყარა, ბელგიის ერთადერთი წარმომადგენელი „ბრიუგე“ კი „ბორდოს“. ჯილდოს კიდევ ერთი ფრანგი მაძიებელი „ოსერი“ ჰოლანდიური „ეინდჰოვენის“ გაგდებას შეეცდება.

შეგახსენებთ, შეჯიბრების ფინალი 19 მაისს შვედეთში, კერძოდ, გიოტებორგში გაიმართება.

ბაბუნა კეღია



„ბარსა“ ჰენრიკ ლარსონს

მეკავადფინალის ნილისურა

სელტიკი (შოტლანდია)	1	ბარსელონა (ესპანეთი)
ბენფიკა (პორტუგალია)	2	ვალენსია (ესპანეთი)
ბორდო (საფრანგეთი)	3	ბრიუგე (ბელგია)
ნიუკასლი (ინგლისი)	4	მალორკა (ესპანეთი)
ოსერი (საფრანგეთი)	5	ჰსკეინდჰოვენი (ჰოლანდია)
ინტერი (იტალია)	6	ბენფიკა (პორტუგალია)
ლივერპული (ინგლისი)	7	მარსელი (საფრანგეთი)
ვილიარეალი (ესპანეთი)	8	რომა (იტალია)

პირველი მატჩები — 11 მარტი, საპასუხოები — 25 მარტი

მეოთხედფინალის ნილისურა

1	ბორდო ან ბრიუგე	გენჩლერი ან ვალენსია
2	ლივერპული ან მარსელი	ინტერი ან ბენფიკა
3	სელტიკი ან ბარსელონა	ვილიარეალი ან რომა
4	ოსერი ან ჰსკეინდჰოვენი	ნიუკასლი ან მალორკა

პირველი მატჩები — 8 აპრილი, საპასუხოები — 14 აპრილი

ნახევარფინალის ნილისურა

IV წყვილის გამარჯვებული — II წყვილის გამარჯვებული
 III წყვილის გამარჯვებული — I წყვილის გამარჯვებული

პირველი მატჩები — 22 აპრილი, საპასუხოები — 6 მაისი
 ფინალი 19 მაისს გიოტებორგში

გაიერნის პუნქტუალობა რეალურ ცხოვრებაში



აღიდასს ბაქებით იცნობთ

მიუნხენის „ბაიერნისა“ და მადრიდის „რეალის“ გზები ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში გადაიკვეთა და ამიტომ ორი გუნდის ამბებზე ერთად მოგიტოვრობთ.

2002 წლის აგვისტოში რონალდო ესპანეთში რომ გადავიდა, „სამეფო“ კლუბმა „ინტერს“ სატრანსფერო თანხის ნაწილი (23 მილიონი ვირჯანქა) გადაუხადა, დანარჩენი კი თქმულ ვადაში უნდა გაესწორებინა.

მადრიდელები მილანელებს 7 მილიონ ვირჯანქას და სანტიანო სოლარის შეპირდნენ, მაგრამ გარიგება ჩაიშალა. იტალიურმა კლუბმა ფიფას მიაკითხა, სადაც დაადგინეს, რომ ესპანელებს „შეკლუროვთ“ სასარგებლოდ 19 მილიონი

ვირჯანქა მართებთ, რაკილა სოლარის ტრანსფერი არ შედგა. თავის მხრივ, „რეალი“ „ინტერს“ არგენტინელ ფეხბურთელთან კონტრაქტის განგებ ჩაშლაში ადანაშაულებს, თუმცა ფიფამ ბრძანა — 19 მილიონი და ეს ფული მილანელთა საბანკო ანგარიშზე აუცილებლად უნდა დაედგინათ.

რონალდოდან დევიდ ბექემზე გადავიდეთ. ინგლისელ ფეხბურთელზე „ადიდასმა“ პერსონალური ლოგო დაამზადა, რომელზეც ბექემი ჯარიმის დარტყმის მომენტშია გამოსახული. ეს ლოგო გერმანულმა კომპანიამ საგანგებო ახალი კოლექციის საწარმოებლად შექმნა და იმავდროულად მოთამაშესთან კონტრაქტი 2008 წლამდე გაახანგრძლივა.

დევიდ ბექემის ამბავში უეფაც ჩაერია, ოღონდ სხვა გზით — „ბაიერნი“ — „რეალის“ მატჩის დროს, როცა ინგლისელი კუთხურებს აწვდიდა, მასპინძელთა გულშემატკივრები მას გუნდებს ესროდნენ, თოვლი კი მიუნხენში, იცოცხლეთ, ბლომად იყო. „ოლიმპიაშტადიონის“ დიქტორმა ქომაგებს თავშეკავებისკენ კი მოუწოდა, მაგრამ ამაოდ. უეფას დედეგატმა მომხდარი პატიაკი შეიტანა და „ბაიერნს“ შესაძლოა, ფულადი ჯარიმა აპყვიდონ.

ახლა მივადექით მთავარს — რობერტო კარლოსის ორმატჩიან დისკვალიფიკაციას. ესპანური პრესის ვარაუდით, გერმანელებმა უეფას სადისკვალინო კომიტეტზე და მატჩის მსაჯეებზე იმოქმედეს, რათა საგანგებოდ აღენიშნათ, რომ კარლოსმა დემიკელის ხელი დაარტყა, რაც თავისთავად ბრაზილიელის დასჯას გამოიწვევდა.

ამის გამო „ბაიერნმა“ ნოტა გაავრცელა, რომელშიც პუნქტების მიხედვით უარყო ბრალეულობა.

1. *ფეხბურთის კლუბი „ბაიერნი“ ოფიციალურად აცხადებს, რომ არანაირი ზეგავლენა რობერტო კარლოსის დისკვალიფიკაციაზე არ მოუხდენია და ეს მხოლოდ უეფას ცალმხრივი გადაწყვეტილებაა.*

2. *კლუბის ვიცე-პრეზიდენტ ული პიონესის და არც ერთი ჩვენი თანამშრომლის მხრიდან ნორვეგიელ ტერიე ჰაუგზე ზეწოლა არ ყოფილა.*

3. *„ბაიერნს“ არ მიუკითხავს უეფაში თხოვნით, რომ „რეალის“ მცველი დაესაჯათ.*

4. *ჩვენი და მადრიდის „რეალის“ ხელმძღვანელთა ურთიერთობა ყოველთვის გამორჩეულად თბილი იყო და ასე გაგრძელდება მომავალშიც.*

ბაბუნა კეღია



მათეუსმა ინტერში გააუმჯობესა

„ინტერის“ გერმანელი ლეგენდა ლოთარ მათეუსი ამბობს, რომ „სან სიროზე“ ალბერტო ძაკერონის შეცვლა სურს. მოგვხსენებთ, იქნება თუ არა ძაკერონი „ინტერის“ სათავეში ამ სეზონის შემდეგაც, გაურკვეველია, ასე რომ, ყოფილი ვარსკვლავის სიტყვებს მართლაც ნებისმიერი გაგრძელება შეიძლება მოჰყვეს.

„ჩემი ოცნება იტალიაში მუშაობაა — თქვა მათეუსმა, რომელმაც სკუდეტო 1989 წელს მოიგო — „ინტერი“ გულში მიზის, ჩემთვის იქ მუშაობა ძალიან დიდი პატივი იქნებოდა, რადგან მე ვამტკიცებ, რომ ეს კლუბი მსოფლიოს ზუთ საუკეთესოს შორის ერთ-ერთია“.

შემდეგ ეს საუბარი ბუნებრივად გადაიზარდა „ინტერის“ დევეანდელი მდგომარეობის მიმოხილვაში.

„ჩემთვის ამ კრიზისის არსი ცოტა გაუგებარია — განმარტა მათეუსმა პოზიცია — გუნდი საკმაოდ ძლიერი ფეხბურთელებისგან ჩანს დაკომპლექტებული, შედეგი კი არ მოდის.“

ბაბუნა კეღია



ძველი მემკვიდრე მის გვერდითაა უოლტერ სმიტი ფარგოუსონთან მიღის



აი, რამდენ ხანს ეძებდა ალექს ფერგოუსონი თანამემკვიდრეს, მერე კაცს, მარჯვენა ხელს. კარლუმ კეირუმის „მანჩესტერიდან“ მადრიდის „რეალში“ წასვლის შემდეგ ფერგის ფიქრები სამხრეთ ამერიკასაც კი მისწვდა და იქ მასური სიო პელეგრინი დალანდა, მაგრამ ახლა ცნობილია: სეზონის ბოლომდე მინც, მარჯვენა ხელად ფერ-

გოუსონის ძველი მეგობარი, უოლტერ სმიტი იმუშავებს. სწორედ ის კაცი, ვისთან ერთად სერ ალექსი შოტლანდიის ნაკრებს გაუძღვა 1986 წლის მექსიკის მსოფლიოს ჩემპიონატზე. იქედან ჩამოსვლის შემდეგ კი ვერც სუნესმა, რომელიც „რეინჯერსს“ ჩაუდგა სათავეში, მერე კაცად იხმო.

დაღა, სმიტი ფეხბურთს აღარ ვაკარებია. თუმცა, ფერგი ლამის ნახევარი საუკუნეა იცნობს უოლტს, რომელიც მასავით „რეინჯერსის“ ქომაგი იყო ბიჭობაში, თუმცა ოცნება ვერ აიხდინა და ლურჯთა შორის ვერ ჩაირიცხა: კარიერა „დანდი იუნაიტედში“ გაატარა, სადაც მერე თანამემკვიდრე მსახურობდა. შემდეგ ის ფერგზე წაიყვანა თანამემკვიდრე 1986 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე. იქედან ჩამოსვლის შემდეგ კი ვერც სუნესმა, რომელიც „რეინჯერსს“ ჩაუდგა სათავეში, მერე კაცად იხმო.

სტაროკი ზღვისპირიდან ზღვისპირაზე

მას შემდეგ, რაც გლენ ჰოდლის კანდიდატურა მოიხსნა, „საუთჰემპტონის“ მენეჯერად ინიშნება პოლ სტაროკი. კლუბის თავმჯდომარეს, რუპერტ ლოუს უკვე მოულაპარაკა ამ კაცთან, რომელიც ჯერჯერობით მეორე დივიზიონის „პლიმუთს“ თავკაცობს.


ბრიტანეთში, კარიერა „დანდი იუნაიტედში“ გაატარა და 109 გოლიც გაიტანა. სტაროკი სქოთია და იქაურ ნაკრებშიაც უთამაშია. მენეჯერად ყოფილა „სენტ ჯონსტონში“, იმავე „დანდი იუნაიტედში“, ბოლო ოთხ წელიწადს კი „პლიმუთშია“, რომელთანაც გასულ ზაფხულს კიდევ ხუთწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

ორი წლის წინათ მან მესამედან მეორე დივიზიონში გადაიყვანა ამ ზღვისპირა ქალაქის გუნდი, რის გამოც მესამე დივიზიონის წლის მენეჯერის ტიტული დაიმსახურა. ერთ ზღვისპირა ქალაქიდან მეორეში გადასვლა სტაროკისთვის დიდი წინსვლაა კარიერაში. „პლიმუთს“ გული კი სწყდება, მაგრამ მისი უფროსობა აცხადებს, რომ ამგვარ ნაბიჯში მენეჯერს ხელს არ შეუშლის, თუმცა კი, „საუთჰემპტონისგან“ კომპენსაციას ელის.

სწორედ უოლტი დანიშნეთო. სმიტის ხელში „რეინჯერსი“ განუწყვეტლივ ხდებოდა ჩემპიონი, შვიდი წლის თავზე კი ის მერსისაიდში მინც გადაბარდა — ოლნდ „ვეერტონის“ მენეჯერად. „გულისონ პარკზე“ გატარებული 4 წელიწადი ძნელი იყო სმიტისთვის. კლუბს ფულ უჭირდა. ისე, რომ დანკან ფერგოუსონი მის ზურგსუკან გაყიდეს. სმიტი დაწოლას განიცდიდა ფანებისა და კლუბის უფროსობისგან, მაგრამ ღირსება ბოლომდე შეინარჩუნა.



ირაკლი გამყრელიძე



ლემენ დავი

დავით დავიას აღიარა ის, რისი ეჭვიც ჰქონდა ხალხს — არიენ რობენის (12 მილიონ გირვანქად) „ეინდჰოვენინდან“ „ჩელსიში“ გადასვლა ჩემთვის ცუდიაო. თავად 14-მილიონიანი ირლანდიელი აქილევსის მყესის მკურნალობის შემდეგ კვლავ ვარჯიშობს და კვლავ ძირითადი შემადგენლობისკენ იკაფავს გზას, ამიტომაც მარცხენაფლანგელის გუნდში გამოჩენა ნამდვილად არ ესიაძოვნა. „უნდა ვაღიარო, ორთვიანი მკურნა-

დაფს რობენი კბილავში მოხვდა

ლობის შემდეგ ამ ტრანსფერის ამბავი კბილავში მუშტავით მოხვდა, მაგრამ სხვა რა გზა მაქვს. უნდა გავაგრძელო მუშაობა და იმედი ვქონიო, რომ ჩემთვის ყველაფერი კარგად აუწყობა გამოვა, რომ რობენი მარცხენაფლანგელია მე, კაცმა რომ თქვას, მარცხენა ფრთაზე წამდაუწყებ სულაც არ ვარ და ამიტომ არ გამოვიცხავ, რომ ადგილი ჩემთვისაც გამოიხსნება.“

დაფის ასეთი დეღვა იმის მორიგი დასტურია, რომ „ჩელსი“ თავის მდიდარ ფეხბურთელებს ნერვიულობის საბაბს აძლევს და იქ ცხოვრება მთლად დაღუბნილი არავის აქვს. მაგალითად, „ვესტ ჰემიდან“ 6 მილიონ გირვანქად ნაყიდმა ჯო კოულმა ამასწინათ დაიჩივლა, რომ თამაში ხშირად ენატურება. თუმცა დაგუბრუნდეთ დაფს: „მგონი, აქილევსის მყესი სეზონის ბოლომდე შემაწუხებს, მაგრამ ამაზე ფიქრის საშუალება არ არის. გასული ორი თვე ჩემს ცხოვრებაში უარესი ორი თვე იყო.“

ბაბუნა კედი

6 თვე დაისვენა, ებორ! ტიტოვს რუსეთშიც აუბრძალუს

მოსკოვის „სპარტაკის“ ნახევარმცველი ეგორ ტიტოვი რუსეთის საფეხბურთო კავშირის სადისციპლინო კომიტეტმა „გაწიროს“ — აკრძალული პრეპარატის გამოყენება დაუდასტურა, 6-თვიანი დისკვალიფიკაციაც ააკრა, რაც იმას ნიშნავს, რომ ტიტოვი ვერც რუსეთის ჩემპიონატში ითამაშებს. შეგახსენებთ, ტიტოვი ჯერ უეფამ დასაჯა, უელსთან პლეი ოფის პირველ მატჩში დივიზიონით იყავი გა-

წყვილი, რაც ჩვენი წეს-კანონით აკრძალულიაო. გუშინ გამართულ სხდომაზე დისციპლინართა შეფხმა ანატოლი გროხოვსკიმ ვერდიქტი თავად გამოიტანა და დასძინა, ძალაში უეფას დადგენილებისთანავე 22 იანვრიდანაა შესული, ჩვენ უბრალოდ, ჩვენი პოზიცია ახლა დაუდასტურეთო. გროხოვსკიმ ისიც დაამატა, კომიტეტის წევრები ერთსულაყან იყვნენ, ტიტოვის არასპორტულ საქციელში არც დავეჭვებულვართო.

Copa Toyota Libertadores '2004. Liberatoros თასი 2004. ჯგუფური ეტაპი. II ჯგუფი. III ტური. ფინიში (ურუგვაი) 1:2 მარაპაიპო (ვენესუელა) 0:1 მ. მარტინესი (27), 1:1 ვინიერი (50), 1:2 რ. მორანი (82) გადგება: ემანუელ (23, ფინიში), მ. მარტინესი (44, მარაპაიპო), მ. მუნდესი (44, ფინიში) VII ჯგუფი. II ტური. ხორხე უილსტარმანი (პოლივია) 0:0 გუარანი (პარაგვაი) ბარსელონა (ეკვადორი) 1:3 სანტოსი (პრაზილია) 0:1 რენატო (44), 0:2 ბასილიო (48), 1:2 ტეიშეირა (63), 1:3 რობინიო (83) VIII ჯგუფი. II ტური. გოკა ხუნორსი (არგენტინა) 2:0 კოლო კოლო (ჩილე) 1:0, 2:0 გ. ბაროს შელოტო (183, 72)

ლობით მიადწიეს. წარმოიდგინეთ, რამდენად უკეთესები იქნებოდნენ, ეს საქმე 4-5 წლით ადრე რომ დაეწყებინათ. წამებებიანი იყო ის ფაქტიც, რომ ქართული რაგბი დახურულ სივრცეში იწვევებოდა. არ ხდებოდა ინფორმაციათა გაცვლა. ახლა ტელევიზორში მანც ვუყურებთ დიდ რაგბის. უდავოდ ნიჭიერ მწვრთნელებს აკლდათ მასალა, რომელიც მუშაობას გაუიოლებდათ. უცხოელი მწვრთნელები არა მარტო საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობენ, თამაშების საყურებლადაც დადიან. ქართულ რეალობაში მსგავსი რამ ჯერ პრობლემაა. ამიტომ რაც მათ და მოთამაშებმა აქამდე გააკეთეს, მაქსიმუმზე მეტია, მაგრამ მსოფლიოს ჩემპიონატის ერთი თამაშის მოსაგებად მაინც არ კმარა.

— უკეთესი მომავლისთვის პერსპექტივას რაში ხედავთ?

— დღევანდელზე მაღლა რაგბი იმ ბიჭებმა უნდა აიყვანონ, თამაშს ახლა რომ იწყებენ. შეგვიძლია იგივე კლოდ სორელიც უკეთ გამოვიყენოთ. მით უმეტეს, რომ ამის სურვილი თავადაც აქვს. მთავარია, რომ იგი კვლავ კავშირის გვერდით დგას. გუშინ ფინომზადების მწვრთნელი ტიერი რუდილიც ჩამოვიდა. ასე რომ, გუნდი, რომელიც ადრე შეიქმნა, აგრძელებს მუშაობას. ამ დღეებში IRB-დან დავიდ ქერიჯი გვესტუმრა. თბილისში არიან რაგბის უცხოელი მიმომხილველები. ჩამოსვლას აპირებენ სპეციალისტებიც. მათ დაინახეს, რომ ჩვენ კარგად ვმუშაობთ და იმაზე მეტი ვვაქვს გაკეთებული, რაც შეგვეძლო.

— ურუგვაისთან ნათამაშევი რაგბით საქართველოს ნაკრები რუსეთსაც ვერ მოუგებდა. არადა, ჩვენს თანაჯგუფელზე სუსტი ნაკრები ავსტრალიაში თითქმის არც იყო.

— გასამართლებლად არ ვამბობ, მაგრამ, რაგბი იმდენად კომპლექსური თამაშია, მასში მარტო ფიზიკური და სპორტული მონაცემების, ან თუნდაც ნიჭის გარდა ბევრი ფსიქოლოგიური ფაქტორიც არანაკლებ მნიშვნელოვანია. გარკვეული როლი კალენდარმაც შეასრულა. ყოველ სამ დღეში ერთხელ ვთამაშობდით, ურუგვაიმ კი ჩვენთან თამაშამდე მთელი თორმეტი დღე დაისვენა. ესეც რომ არ ყოფილიყო, მათი ნაკრები სულაც არ იყო ხელწამოსაკრავი. არც ჩვენზე ნაკლებად უნდოდათ გამარჯვება და არც გამოცდილება აკლდათ.

— მასასადამე, უმთავრესი, რაც დაგვაკლდა, გამოცდილება იყო?

— რა თქმა უნდა. მსგავს სიტუაციაში მწვრთნელიან-მოთამაშებთან-ხელმძღვანელობიანად ყველა პირველად აღმოვჩნდით. შემდეგ მსოფლიოზე ბევრად უფრო თავდაჯე-

რებული და ძლიერები ვიქნებით. 1999 წელს ინგლისმა ნახევარფინალსაც ვერ მიადწია, მაგრამ ვუღვორდი დარჩა, იმუშავა და ოთხ წელიწადში გუნდი ჩემპიონი გახდა. მსოფლიოს თასზე გასვლით გვევონა, სახელმწიფოს ყურადღების ცენტრში მოექცევილი და ფინანსური პრობლემები აღარ გვექნებოდა, მაგრამ ასე არ მოხდა. მოსამზადებელ ეტაპზე კანადის ტურნირიც ჩავაგდეთ. იქ რომ წავსულიყავით, დარწმუნებული ვარ, იტალიასთან უკეთესად ვითამაშებდით და ავსტრალიასაც სხვა მორალური ბაგაუთ ვესტუმრებოდით. არ იზრდება ეს ხე ისე სწრაფად, როგორც გვინდა. კრიტიკა კი ძალიან ადვილია.

— სორელი რომ ნაკრებში დარჩენილიყო, გააგრძელებდნენ თუ არა ბორჯღალოსნები აღმასვლას?

— გუნდის წინსვლას მარტო კლოდის დარჩენა ვერ უშველიდა. ამასთან ერთად ბევრი სხვა რამეც უნდა შეეცვლილიყო. თუ პირობები არ შეუქმნი, ვუღვორდსაც ვერ გამოიყენებ.

— პირველ ეტაპს დადებითად აფასებთ. ამ პერიოდში განხორციელებულ ტრანსფერებსა და საფრანგეთში წასულთა კონტრაქტებზე რაღას იტყვით?

— იმ ეტაპს თავისი დადებითი მხარეებიც ჰქონდა და უარყოფითიც. მორაგბეთა საფრანგეთში წასვლა იმ პერიოდისთვის აუცილებელი იყო. ამით პირველ რიგში შეჯიბრებების უკმარისობა აეინაზღაურეთ. ვინც გაუშვით, ის მოთამაშეები შევინარჩუნეთ, აქ დარჩენილი ბევრი ნიჭიერი მორაგბე კი რაგბის საერთოდ ჩამოშორდა. რაც შეეხება კონტრაქტებს, როდესაც მოთამაშეს საფრანგეთში ვუშვებდით, გუნდს ვუბნებოდით, რომ წელიწადში ოთხჯერ ნაკრებში სათამაშოდ ამოსასვლელი თანხა თავის თავზე აეღო. ასე იყო წასული ცაბაძე და კიდევ რამდენიმე მორაგბე. მოხდა კი პირიქით. მნიშვნელოვან თამაშებზე პირობები არ შეასრულეს. ამ დროს ფრანგულ კანონმდებლობაში შეიქმნა კომპენსაციის მუხლი, რომელიც საშუალებას გვაძლევდა კონტრაქტში ჩადებულიყო წლის განმავლობაში მოთამაშის 4-6 მგზავრობის გარანტია. ზოგიერთი გუნდი ბილეთების საფასურის გადახდის გარდა სხვა დახმარებასაც ვთავაზობდით. მაგალითად 3-4 დღით გემასპინძლობდა, ვარჯიშის თანხას გვიხდიდა და ასე შემდეგ. ეს ყველაფერი ფორმდებოდა გუნდებთან და არქივიც არსებობს. ყველა მოთამაშეზე ყველაფერია ჩამოწერილი.

— თუ იცით საერთოდ რამდენია გუნდებისგან შემოსული?

— ამ ოთხი წლის განმავლობაში დაახლოებით 300 ათასამდეა ფრანგული კლუბ-

ბისგან გადახდილი, მაშინ როდესაც საქართველოს რაგბის კავშირს ყოველწლიურად გაცილებით მეტი აქვს დახარჯული.

— ამ 300 ათასს რა დახარჯვები შეადგენენ?

— სასტუმროს ხარჯები, სტაჟირებები, თვითმფრინავის ბილეთების კომპენსაციები და სხვა. ფრანგული კლუბების დახმარებები რომ არ ყოფილიყო, ბევრი პროექტი განუხორციელებელი დარჩებოდა. მარტო სამხრეთ აფრიკასთან და საფრანგეთთან სათამაშოდ გუნდის ჩამოყვანა 22 ათასი დოლარი დაგვიჯდა.

— გამოჩნდა ძალიან, რომელსაც რაგბის კავშირთან გარკვეული პრეტენზიები აქვს. თუნდაც სტადიონთან დაკავშირებით. ხომ შეიძლებოდა ამ ოთხი-ხუთი წლის განმავლობაში ერთი სარავბო სტადიონი აშენებულიყო? საამისო ხარჯები IRB-მაც ხომ გამოყო.

— სტადიონისთვის მზიურში გამოყოფილია ტერიტორია. ჩვენ დავიწყეთ პირველი სამუშაოების ჩატარება, მაგრამ სამწუხაროდ პროექტს ჯერ ვერ ვამტკიცებთ. IRB-ის წარმომადგენელთან ერთად დღესაც მოვინახულებთ. ქალაქის საარქიტექტორო სამმართველოშიც ვიყავით და ავციხსნეს, სანამ გარემო მშენებლობები არ დამთავრდება, სტადიონის აშენება არ შეიძლება, მცოცავი მიწებია და შეიძლება რამდენიმე წელიწადში ჩაინგრესო. ოპოზიცია ახსენეთ და არ შეიძლება ამაზეც არ ვთქვა. იმ მხარეს ბევრი ნიჭიერი პიროვნებაა და გული მტკივა, რომ ეს ენერჯია ქართული რაგბისთვის არაა მიმართული. ეს გაურკვევლობა და აზროვნება დასახვაობა ისევე საქმეს უშლის ხელს.

— გასაგებია, მოწინააღმდეგე ძალები ურიკას სხვადასხვა მხარეს ეწევიან, მაგრამ ვინ უნდა აიღოს ინიციატივა, თუ არა რაგბის კავშირმა, რომ საქმე ერთობლივი ძალისხმევით გაკეთდეს?

— რაგბის კავშირი ეწევა ურიკას სწორი მიმართულებით და ამას ბევრი რამ ადასტურებს. კავშირმა დაღო მსოფლიოს თასზე გასვლის გეგმა და გავედით. გუნდი, რომელიც ამ პერიოდში შეიქმნა, დღესაც მუშაობს. გვაქვს კრედიტი, რომელსაც ვასრულებთ. ახლა იწყება მეორე ეტაპი.

— თუ შეიძლება უფრო კონკრეტულად, რა შედის ამ მეორე ეტაპში?

— მომავალი ოთხი წლის პროექტი მოიცავს რეგიონალური შავი ზღვის აუზის ქვეყნების ჩემპიონატის გაკეთებას, შეიდაკა რაგბის პროფესიონალი გუნდის ჩამოყალიბებას, ბავშვთა რაგბის წინსვლას და იმ პირობების შექმნას, საქართველოში საკლუბო რაგბმა ყველა საშუალება და ბაზა რომ მიიღოს დასასტრუქტურებლად და წინ წასასვლელად.

— ბოლოს რიგგარეშე ყრილობაზეც გკითხავთ. გამგეობამ უკვე მოითხოვა მისი გამართვა.

— ამის თაობაზე ინფორმირებული არა ვარ. ჩემი აზრით, ჯობია, ჯერ კონფერენცია ჩატარონ, კლუბთა ლიგა და თბილისის რაგბის კავშირი ჩამოყალიბონ. მე რე რომ თქვან, ამ პერიოდში ჩვენ ესა და ეს გავაკეთეთო. მე მიხდა, რომ გადადებული არჩევნები ოქტომბერში ჩატარდეს, მანამდე კი პოზიცია-მაც და ოპოზიცია-მაც ის საქმე აკეთოს, ქართულ რაგბს სასიკეთოდ რომ წაადგება.

ოთარ მალაბალიძე

საქართველოს რაგბის კავშირის გამგეობამ ათასჯერ ნათქვამ-ნათქვამი საქმედ აქცია და რუსეთთან სახვალეო მატჩის წინ კავშირის პრეზიდენტს ბიძინა გეგვიძეს მოთხოვნით მიმართა

საქმე ასეა: გამგეობას ხუთი წევრიდან ოთხი გუგა გეგენავა, ბათუ კველიშვილი, თამაზ მგელაძე და შავლეგ ჯანელიძე გამგეობის ოქმს და მის შინაარსს ხელმოწერებით ამტკიცებენ. გამგეობის მდივანი გუგა გეგენავა — რომელიც კლუბ „ყოჩების“ მენეჯერია — და დანარჩენი წევრები ბიძინა გეგვიძესგან რაგბის კავშირის ყრილობის

გამგეობა მოითხოვს

მოწვევას 29 მარტს მოითხოვენ. გამგეობის ეს მოთხოვნა არც იქნებოდა ასე აქტუალური, რომ არა ამ ყრილობის მთავარი მიზანი: კავშირის საპრეზიდენტო ხელახალი არჩევნები.

შეგახსენებთ, იანვარში გამართულმა არჩევნებმა საბოლოო გამარჯვებული ვერ გამოავლინა. გეგვიძემ და მისმა ერთადერთმა კონკურენტმა, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ, ყოფილმა მორაგბემ მერაბ ანთაძემ თანაბარი 14-14 ხმა მიიღეს. ანთაძე კვლავაც რჩება პრეზიდენტობის კანდიდა-

ტად და ხელახალი არჩევნებიც ამაღ ვახდა საჭირო.

გამგეობის მოთხოვნას ხმის უფლების მქონე 11 კლუბიდან კავშირის წესდების შესაბამისად ხუთი უერთდება. ესენი არიან „ყოჩები“, „არმაზი“, „ხულიგანი“, „ილიო“ და „ლოკომოტივი“. გუშინვე, როდესაც ბიძინა გეგვიძეს კომენტარისთვის შეეხებინათ, მან ეს ამბავი ჩვენს გაიგო.

„დღეს ძალიან დაკავებული ვარ და მე არ მინახია ეს მიმართვა. როცა წავიკითხავ, კომენტარსაც მაშინ გავაკეთებ. ისე კი ძალი-

ანაც არ მაინტერესებს გამგეობის წერილები. გამგეობას ახლა, ექვსი წლის შემდეგ გაახსენდა შეკრებები და რაგბიზე ზრუნვა. ისე, ეგეც პროგრესია, რა თქმა უნდა, ბრჭყალებში“ — გვითხრა გუშინ გეგვიძემ.

გამგეობის წევრები:	
ბათუ კველიშვილი	
თამაზ მგელაძე	
გუგა გეგენავა	
შავლეგ ჯანელიძე	
თორნიკე გეგვიძე	

საპარტოვლო VS რუსეთი

6 მარტი. თბილისი. «ლოკომოტივი». 16 საათი

გურამ მოღვაძე


ნება ზეგას ასე ითაბაუნ

თაქურ ბენდიანობილი

იგივე უსდლოებს ვუზაბთ

გუშინ ბორჯღალოსნებმა „ლოკომოტივის“ სათადარიგო მოედანზე ბოლოსწინა ვარჯიში და სპარინგ-მატჩი გამართეს, დიდმა ნაკრებმა ძალა ახალგაზრდულ ნაკრებთან მოსინჯა. მატჩი სავარაუდოდ ძირითადმა შემადგენლობამ დაიწყო, შემდეგ სათადარიგოებიც ჩაერთვნენ. ჩვენმა გასაკვირად ტრიბუნებზე შეყვნილ

სარაგბო საზოგადოებაში გურამ „ბურძგლა“ მოდებამ შეენიშნეთ. გასაკვირად იმიტომ, რომ „ბურძგლა“ თითქმის ერთი წელია, რაც აზერბაიჯანში გადაბარგდა და იქაურ ნაკრებს წვრთნის. ბორჯღალოსანთა ყოფილი მწვრთნელი რუსეთთან მატჩზე დასასწრებად ჩამოვიდა და კიდევ რამდენიმე დღე დაჰყოფს თბილისში



გურამ მოღვაძის ფოტო



ლენა ლევაძის ფოტო

— რუსებს კარგად იცნობთ თქვენს ერთ-ერთ მიღწევად, რუსი „დათვების“ დამარცხება ითვლება...
 — უნდა მოვიგოთ, თუმცა ძალიან უნდა ვუფრთხილდეთ მათ, განსაკუთრებით გრაჩოვს, რაჩოვს და სერგეევს.
 — თქვენი პროგნოზი?
 — ჯივრით ვუვებდით ყოველთვის, ჩვენ მეტად ვინდობდით გამარჯვებას. თუ ხვალაც ბოლომდე დავეხარჯებით, მოვიგებთ, რადგან დღეს მთავარია ძალა და ძალით უნდა გავიტანოთ. რუსები ფიზიკურად ძალზედ ძლიერები არიან და მათ მაგრად უნდა დაუდგეთ.

რაც შეეხება პროგნოზს, ცოტა ბავშვურად მესახება თამაშის წინ რაიმეს თქმა, თუმცა შანსები ჩვენც გვაქვს და იმათაც.
 — ბორჯღალოსნებზე რას იტყვით, როგორ გამოიყურება ნაკრები?
 — ვარჯიშზე იხარჯებიან. ნეტავ ზეგაც ასევე ითამაშონ. ურჯუკაშვილი 12-13-ზე საუკეთესოა, ჩემი აზრით მისი ადგილი ცენტრშია. ბიძინა სამხარაძე 9-ზე მომწონს. დავით ბოლდაშვილიც კარგია. კარგი დაკიდებული ბურთები და დერეფანი მოიგო რატი ურუშაძემ. რატი რუსეთთან

გვეკირდება, რადგან დიდი ფსიქოლოგიურ ბარიერს შეუქმნის „დათვებს“. მე და ვაყენებდი მას ნაკრებში.
 — რა არ მოგეწონათ დღევანდელ ვარჯიშზე?
 — რა და როცა ნაკრებმა გახურება დაიწყო თამაშის წინ, მათ მწვრთნელი არ ხელმძღვანელობდა. მსოფლიოში არც ერთი ნაკრები არ ხურდება თვითონ. შვიდ-შვიდი ფიზიომომზადების სპეციალისტი ყავთ, ჩვენ კი არ ვწყალობთ მართლა პროფესიონალ მწვრთნელებს, თუნდაც ნელი გრიგალაშვილს, რომელსაც დიდი პოტენციალი გააჩნია ნაკრების ფიზიომომზადებაში

გურამ მოღვაძესთან საუბრის დასრულებისას თბილისის „ლოკომოტივის“ თავკაცს თემურ ბენდიანოვილს მოვკარი თვალი, რომელიც ღინჯად აღევნებდა თვალს ნაკრების თამაშს.
 — პორტუგალიისა და ესპანეთის მატჩების შემდეგ წინსვლა გვაქვს?
 — როგორც ხედავ, რა შეცდომებზე დაუშვით პირველ თამაშზე, იგივეს ვუშვებთ დღეს. ვერანაირ ცვლილებას ვერ ვხედავ.
 — განსაკუთრებით, რომელ ხაზში გვეკვირს?

— სამ-მეოთხედებს ბევრად მეტ შეცდომებს ვამჩნევ. ღარიბი არსენალი გვაქვს. მინდა ავლენო, რომ ესპანეთში დერეფნის შეუთამაშებლობა გვეკონდა და რუსებთან იგივე არ უნდა განმეორდეს.
 — შემადგენლობა მოგწონთ?
 — ამდენი ბიჭები არ უნდა შეეცვალოთ ნაკრებში.
 — და ბოლოს, მოვიგებთ?
 — მე პორტუგალიასთან და ესპანეთთანაც შეგონა, რომ 15-20 ქულით მოვიგებდით. უნდა მოვიგოთ.

ნიკო ლევაძე

ჯივრით

THE DUBAI TENNIS CHAMPIONSHIPS

ჰარდი. საპრიზო 1 მილიონი \$

პირველი წრე

პარადორნ შრიჩაფანი (7, ტაილანდი) — დომინიკ პრებატი (სლოვაკეთი) 4:3 პრებატიმ შენგვიტა
 მეორე წრე
 სენეზა შალკენი (8, პოლანდია) — ფაბრის სანტორი (საფრანგეთი) 5:7, 6:4, 6:4; იბრაჰიმ ნიშინი (ფინეთი) — გრეგორი კარა (საფრანგეთი) 7:6 (7:3), 6:3; მიხაილ იუშენი (რუსეთი) — დენის ვან შტეინგენი (პოლანდია) 6:4, 7:5; რაფაელ ნადალი (ესპანეთი) — ოლივიე როხუსი (ბელგია) 6:3, 7:5

წინა კვირას მარსელისაზე გამარჯვებულ დომინიკ პრებატის, ვინაც საამომენტოდ სეზონის ყველაზე მეტ მოგებასა (17) და ტიტულს (3) მოიძიეს, მოსავლიანი ჩოგნაობის გაგრძელება დუბაიში ევროპიდან ჩაყოლილმა გრიბმა არ დაანება. სწორედ გრიბის თანმდევი სისუსტის გამო იყო, პარადორნ შრიჩაფანთან იმ დღეს მეშვიდე გემის თავზე ჩოგნის დაშლით და შინ, ზურგზე კოტოშების დასასხმელად წასვლა რომ არჩია. სიცხე ჯერ კიდევ მარსელური ფინალის წინ მაწუხებდა და, რაკილა მომუშება ვერ მოვახერხე, აქაურ ხვატში სულ მთლად მივსავათილო, განმარტავდა ის ნამატჩევეს და ვინ მამაძალი არ დაუჯერებდა. არადა, შრიჩაფანი წინა ორ ტურნირზე პირველი წრებიდანვე ოტბულები და ასეთი იოლი გამარჯვებით, ცხადია, ძალზედ კმაყოფილი დარჩა.

სხვაფრივ — იანვრის დასაწყისში, ჩენაობის ბოლო რეჟულში გასვლის შემდეგ თავის პირველ მეოთხედფინალს უწია სხენგ შალკენმა. მისდარად მეორედ მოუწევს წლეულს სანახევარფინალ საგზურისთვის ბრძოლა 17 წლის ესპანელ რაფაელ ნადალს, ვინაც ამ სეზონში 5 მარცხის წილ უკვე მეთუე გამარჯვება მიითვალა.

ჩინებულება დოკირს ვენ კიც ვეფაშს

მეძისის ღია პირველობა აკაპულკო საპრიზო 652 ათასი \$

პირველი წრე
 ლუის ორნა (პერუ) — აგუსტინ კალიერი (3, არგენტინა) 7:6 (7:5), 6:4

მეორე წრე
 ნიკოლას მასუ (2, ჩილე) — ჯეფ სალცენშტაინი (აშშ) 6:1, 6:3; რუბენ რამირეს იდალგო (ესპანეთი) — მარიანო საბალეტა (4, არგენტინა) 7:5, 6:3; ფერნანდო ვერდასკო (ესპანეთი) — ფელიქს მანტია (5, ესპანეთი) 4:6, 6:4, 6:0; მილანო კანინასი (არგენტინა) — გასტონ გაუდიო (6, არგენტინა) 6:4, 6:3

აკაპულკოში რა მოხდა და მეორე წრეში შარშანდელი ფინალისტები დაიფრინეს. ჩემპიონ აგუსტინ კალიერის, ვინაც შარშან იქ კარიერის პირველი და ჯერჯერობით უკანასკნელი ტიტული მოიმკა, პერუელმა ლუის ორნამ აჯობა. ორნასთვის ეს რევანში იყო წინა კვირაში კოსტა დე საუაპურ ნახევარფინალში არგენტინელისგან ნაწუნევი მარცხის გამო.

კალიერისთან შარშანდელ ფინალში წაგებულმა მარიანო საბალეტამ კი ჩოქი უსახელო ესპანელ რუბენ რამირეს იდალგოს მოუყარა. აკაპულკოში ჩასვლამდე იდალგოს ექვსი საამსეზონო მარცხის ვერსაპირწონედ მხოლოდ ორ შეხვედრაში ემარჯვა.

FRANKLIN TEMPLETON CLASSIC სკოტსდეილი. მაგარსაფარი საპრიზო 380 ათასი \$

პირველი წრე
 ენდი როდრიგო (1, აშშ) — იონ ვან ლოტუმი (3, ოლანდია) 6:3, 7:5; როზინ სოფარლინი (3, ვენეცია) — ქსავიე მალისი (ბელგია) 6:3, 7:6 (7:3)

მეორე წრე
 როზინი შინიანი (3, აშშ) — უესლი მუდი (საშხრეთ აფრიკა) 2:6, 7:6 (7:2), 6:4; შინს სპინიანი (4, აშშ) — უეინ ართურის (ავსტრალია) 6:3, 6:2; ჯიმიზ ბლუმი (6, აშშ) — იგორ ანდრევი (რუსეთი) 6:3, 6:2; ნიკოლას კიშინი (7, გერმანია) — დიმიტრი ტურსუნოვი (რუსეთი) 6:4, 6:4

მეორე წრეში გასასვლელად ენდი როდრიგს იმ დღეს სულ რაღაც ერთი წუთი დასჭირდა. ეგ იმიტომ, რომ წინა საღამოს ორიოდ ბურთის მოგებადა აკლდა, როცა კორტზე შხაპუნა წვიმამ მოასხა და გამარჯვება გადაუხვალა. იმდღევანდელი სხვა მატჩებიდან კი გამოყოფას მხოლოდ 19 წლის რობინ სოფერლინგის მორიგი წარმატებული ჩოგნაობა იმსახურებს. წინა კვირას მარსელურ ფინალში პრებატისგან ძლეულმა შეგდმა ყრმამ გამოცდილი ბელგეელი ქსავიე მალისი დაიმორჩილა.

მატარის ღია პირველობა დოკა. მაგარსაფარი საპრიზო 600 ათასი \$

მეორე წრე
 შუსტინ ენე-არდენი (1, ბელგია) — მარია ვენტო-კაბი (ვენესუელა) 7:5, 6:3; ჯენიფერ პაპინიანი (2, აშშ) — ლი ტინი (ჩინეთი) 7:6 (7:4), 6:3; ანასტასია მიხაილი (3, რუსეთი) — ელენა ლიხოვეცვა (რუსეთი) 6:1, 3:6, 6:3; შიზან შონიანი (აშშ) — აი სუგიამა (4, იაპონია) 6:3, 6:2; სილვია ფარინა ელია (5, იტალია) — ელენა კოსტანინი (სორვატია) 6:3, 6:3; შან ძი (ჩინეთი) — ელენა დოკირი (6, სერბეთი) 6:4, 6:4; სპიტლანა კუხნიევიჩა (რუსეთი) — ანა ბარნა (გერმანია) 6:2, 6:3; ნატალი დევი (საფრანგეთი) — სანდრინ ტესტიუ (საფრანგეთი) 6:2, 5:7, 6:3

წლეულს უკვე სამი ტიტულის (სიდნეი, მელბურნი, დუბაი) მომგება შუსტინ ენენ-არდენმა იმ დღეს ვენესუელელ მარია ვენტო-კაბის ჩოგანი ოდნავ გვიან კი მოა-



ელენა დოკირს ვილაც ჩინელი წენ ძის დამარცხების თავი ადარ აქვს

რგო, მაგრამ როცა მორაგო, ბოლომდე აღარ მოსდუნებია. შეუდარებლად სუსტი მეტოქის გამო პირველი წრე ასევე ვარჯილად გაიარა ჯენიფერ კაპრიატიმაც, ვინაც — ეგებ არც თქვენ მიგავიწყდათ — წინა კვირას თავის პირველ საამსეზონო მატჩში ბერძენ ელენი დენილიდუსთან ჩაიფლავა (დუბაიის მეორე წრეში). შარშანდელი ჩემპიონი ანასტასია მიხაილი შარშანდელსავე თვისტომ ფინალისტ ელენა ლიხოვეცვას მოერია, ხოლო მსოფლიო რეიტინგის 77-ეადგილოსანმა ჩინელმა წენ ძიმ დამავალ კორტ-გზაზე მდგარ ელენა დოკირი მიაიმსქნა. დანარჩენს კი ზემოთ ჩაწიკვიკებული ანგარიშებიდან შეიტყობთ.

ლენა კელაურამი

ნუ დაუჯერებთ შუამახერს

ჩემი რეკორდები

ჩემი რეკორდები

მიხაელ შუმახერი 6(1994, 95, 2000-03)
ხუან-მანუელ ფანხიო 5(1951, 1954-57)

მოგება

მიხაელ შუმახერი ----- 70 ----- 195
დევიდ კულჰარდი ----- 13 ----- 157

პოული

აირტონ სენა ----- 65 ----- 161
მიხაელ შუმახერი ----- 55 ----- 195

უსწრაფესი წრა

მიხაელ შუმახერი ----- 56 ----- 195
დევიდ კულჰარდი ----- 18 ----- 157

პოლიუმი

მიხაელ შუმახერი ----- 122 (70+34+18)
დევიდ კულჰარდი ----- 60 (13+26+21)

ქულა

მიხაელ შუმახერი ----- 1038 ----- 5,32
დევიდ კულჰარდი ----- 451 ----- 2,87

რბოლა

რიკარდო პატრეზე ----- 256 ----- 17
მიხაელ შუმახერი ----- 195 ----- 13

კეტი ტრიკი

(მოგება, ბოული, უსწრაფესი წრა)

მიხაელ შუმახერი (ბენეტონი, ფერარი) 14
დევიდ კულჰარდი (მაკლარენი) 2

წამოხვევად ქულაზეიანი რბოლა

მიხაელ შუმახერი ---- 24 ---- 2001-2003
დევიდ კულჰარდი ---- 10 ---- 2000-2001
რალფ შუმახერი ----- 10 ----- 2003

ჩემი რეკორდები და ვიცე-ჩემი რეკორდები შორის ქულათა უდიდესი სხვაობა

შუმახერი — ბარიკელო ---- 67 ---- 2002
შუმახერი — კულჰარდი --- 58 --- 2001

მოგება სეზონში

მიხაელ შუმახერი ---- 11 ----- 2002
რუბენს ბარიკელო ---- 4 ----- 2002

ქულა სეზონში

მიხაელ შუმახერი ---- 144 ----- 2002
კიმი რაიკონენი ----- 91 ----- 2003

პოული სეზონში

ნაიჯელ მენსელი ---- 14 ----- 1992
მიხაელ შუმახერი ---- 11 ----- 2001

უსწრაფესი წრა სეზონში

მიკა ჰაკინენი ----- 9 ----- 2000
მიხაელ შუმახერი ---- 8 ----- 1994
მიხაელ შუმახერი ---- 8 ----- 1995

მოგება წამოხვევად

ალბერტო ასკარი ----- 9 --- 1952-1953
მიხაელ შუმახერი ----- 6 --- 2000-2001

მოგება პირველი გუნდისთვის

მიხაელ შუმახერი (ფერარი) ----- 51
დევიდ კულჰარდი (მაკლარენი) ----- 13

ქულა პირველი გუნდისთვის

მიხაელ შუმახერი (ფერარი) ----- 735
დევიდ კულჰარდი (მაკლარენი) ----- 388

რბოლა პირველი გუნდისთვის

მიკა ჰაკინენი (მაკლარენი) ----- 141
დევიდ კულჰარდი (მაკლარენი) ----- 132



სამეფო რბოლების ყველა რეკორდი



ზევ ავსტრალიის დიდი პრიზის გათამაშებით მსოფლიოს 55-ე საფორმულო ჩემპიონატი დაიწყო. ოცპილოტიან პელოტონში გვირგვინის უპირველეს პრეტენდენტად, ცხადია, მიხაელ შუმახერი ითვლება. დიადმა გერმანელმა სამი წლის წინ მესამედ გაჩემპიონების შემდეგ საქვეყნოდ გამოაცხადა თავისი პროგრამა-მაქსიმუმი, კარიერის ბოლომდე 70 ეტაპის მოგებას და 1000 ქულის დაგროვებას ვეცდებო. მაშინ ერთი შეხედვით ეს უტოპიური პროგნოზი ბევრმა მას სარეკლამო ტრიუკად ჩაუთვალა. დღევანდელი რეალობა ის გახლავთ, რომ შუმიმ დანაპირები დაგვეგმილზე ბევრად ადრე, შარშან აასრულა, მის ზღაპრული კარიერის დასრულებამდე კი კიდევ სამი ჩემპიონატი. ამდენად, 2006 წლის ბოლოს მისი მიღწევები უფრო დაუჯერებელი იქნება. რეკორდების ჩამონათვალში შესაძარებლად მოყვანილია მოქმედ მრბოლთაგან საუკეთესო მაჩვენებლები

ფორმულა 1-ის ჩემპიონები

წელი	მგბოლი	ასაპი	მეყვანა	გუნდი	მოგება	ქულა
1950	ჯუზეპე ფარინა	44	იტალია	ალფა რომეო	3	30
1951	ხუან მანუელ ფანხიო	40	არგენტინა	ალფა რომეო	3	31
1952	ალბერტო ასკარი	34	იტალია	ფერარი	6	36
1953	ალბერტო ასკარი	35	იტალია	ფერარი	5	34,5
1954	ხუან მანუელ ფანხიო	43	არგენტინა	მაზერატი, მერსედესი	6	42
1955	ხუან მანუელ ფანხიო	44	არგენტინა	მერსედესი	4	40
1956	ხუან მანუელ ფანხიო	45	არგენტინა	ლანჩა	3	30
1957	ხუან მანუელ ფანხიო	46	არგენტინა	მაზერატი	4	40
1958	მაიკ ჰოტორნი	29	დიდი ბრიტანეთი	ფერარი	1	42
1959	ჯეკ ბრეზემი	33	ავსტრალია	კუპერი	2	31
1960	ჯეკ ბრეზემი	34	ავსტრალია	კუპერი	5	43
1961	ფილ ჰილი	34	აშშ	ფერარი	2	34
1962	გრემ ჰილი	33	დიდი ბრიტანეთი	BRM	4	42
1963	ჯიმ კლარკი	27	დიდი ბრიტანეთი	ლოტუსი	7	54
1964	ჯონ სარტისი	30	დიდი ბრიტანეთი	ფერარი	2	40
1965	ჯიმ კლარკი	29	დიდი ბრიტანეთი	ლოტუსი	6	54
1966	ჯეკ ბრეზემი	40	ავსტრალია	ბრეზემი	4	42
1967	დენი ჰალმი	31	ახალი ზელანდია	ბრეზემი	2	51
1968	გრემ ჰილი	39	დიდი ბრიტანეთი	ლოტუსი	3	48
1969	ჯეკი სტიუარტი	30	დიდი ბრიტანეთი	მატრა	6	63
1970	იოხენ რინდტი	28	ავსტრია	ლოტუსი	5	45
1971	ჯეკი სტიუარტი	32	დიდი ბრიტანეთი	ტირელი	6	62
1972	ემერსონ ფიტიპალდი	25	ბრაზილია	ლოტუსი	5	61
1973	ჯეკი სტიუარტი	34	დიდი ბრიტანეთი	ტირელი	5	71
1974	ემერსონ ფიტიპალდი	27	ბრაზილია	მაკლარენი	3	55
1975	ნიკი ლაუდა	26	ავსტრია	ფერარი	5	64,5
1976	ჯეიმს ჰანტი	29	დიდი ბრიტანეთი	მაკლარენი	6	69
1977	ნიკი ლაუდა	28	ავსტრია	ფერარი	3	72
1978	მარიო ანდრეტი	38	აშშ	ლოტუსი	6	64
1979	ჯოდი შექტერი	29	სამხრეთ აფრიკა	ფერარი	3	51
1980	ალან ჯოუნსი	34	ავსტრალია	უილიამსი	5	67
1981	ნელსონ პიკე	29	ბრაზილია	ბრეზემი	3	50
1982	კეკე როსბერგი	34	ფინეთი	უილიამსი	1	44
1983	ნელსონ პიკე	31	ბრაზილია	ბრეზემი	3	59
1984	ნიკი ლაუდა	35	ავსტრია	მაკლარენი	5	72
1985	ალენ პროსტი	30	საფრანგეთი	მაკლარენი	5	73
1986	ალენ პროსტი	31	საფრანგეთი	მაკლარენი	4	72
1987	ნელსონ პიკე	35	ბრაზილია	უილიამსი	3	73
1988	აირტონ სენა	28	ბრაზილია	მაკლარენი	8	90
1989	ალენ პროსტი	34	საფრანგეთი	მაკლარენი	4	76
1990	აირტონ სენა	30	ბრაზილია	მაკლარენი	6	78
1991	აირტონ სენა	31	ბრაზილია	მაკლარენი	7	96
1992	ნაიჯელ მენსელი	39	დიდი ბრიტანეთი	უილიამსი	9	108
1993	ალენ პროსტი	38	საფრანგეთი	უილიამსი	7	99
1994	მიხაელ შუმახერი	25	გერმანია	ბენეტონი	8	92
1995	მიხაელ შუმახერი	26	გერმანია	ბენეტონი	9	102
1996	დეიმონ ჰილი	36	დიდი ბრიტანეთი	უილიამსი	8	97
1997	ჟაკ ვილნევი	26	კანადა	უილიამსი	7	81
1998	მიკა ჰაკინენი	30	ფინეთი	მაკლარენი	8	100
1999	მიკა ჰაკინენი	31	ფინეთი	მაკლარენი	5	76
2000	მიხაელ შუმახერი	31	გერმანია	ფერარი	9	108
2001	მიხაელ შუმახერი	32	გერმანია	ფერარი	9	123
2002	მიხაელ შუმახერი	33	გერმანია	ფერარი	11	144
2003	მიხაელ შუმახერი	34	გერმანია	ფერარი	6	93

გუნდური რეკორდები

ჩემი რეკორდები

ფერარი ----- 13 ----- 54
მაკლარენი ----- 11 ----- 38

პონსტრუქტორთა თასი

ფერარი ----- 13 ----- 46
უილიამსი ----- 9 ----- 32

პონსტრუქტორთა თასი წამოხვევად

ფერარი ----- 5 ----- 1999-2003
მაკლარენი ----- 4 ----- 1988-1991

რბოლა

ფერარი ----- 686 ----- 1950-2003
მაკლარენი ----- 559 ----- 1966-2003

მოგება

ფერარი ----- 167 ----- 24,34
მაკლარენი ----- 138 ----- 24,69

პოული

ფერარი ----- 166 ----- 24,19
უილიამსი ----- 122 ----- 25,90

უსწრაფესი წრა

ფერარი ----- 167 ----- 24,34
უილიამსი ----- 125 ----- 26,54

ქულა

ფერარი ----- 3997,8 ----- 5,83
მაკლარენი ----- 2898,5 ----- 5,19

ჩემი რეკორდები და ვიცე-ჩემი რეკორდები შორის ქულათა უდიდესი სხვაობა

მაკლარენი-ფერარი ----- 134 --- 1988
ფერარი-უილიამსი ----- 129 --- 2002

მოგება სეზონში

მაკლარენი ----- 15 ----- 1988
ფერარი ----- 15 ----- 2002

პოული სეზონში

მაკლარენი ----- 15 ----- 1988
მაკლარენი ----- 15 ----- 1989
უილიამსი ----- 15 ----- 1992
უილიამსი ----- 15 ----- 1993

უსწრაფესი წრა სეზონში

მაკლარენი ----- 12 ----- 2000
ფერარი ----- 12 ----- 2001

ქულა სეზონში

ფერარი ----- 221 ----- 2002
მაკლარენი ----- 199 ----- 1988

მოგება წამოხვევად

ფერარი ----- 14 ----- 1952-1953
მაკლარენი ----- 11 ----- 1988

პოული წამოხვევად

ფერარი ----- 53 ----- 1999-2002
უილიამსი ----- 18 ----- 1992-1993

წამოხვევად (პირველ-მეორე ადგილი) პირველი გუნდისთვის

ფერარი (შუმახერი-ბარიკელო) 15 2001-2002
მაკლარენი (სენა-პროსტი) 14 1988-1989



მეგობრული კვირის შედეგები

3 მარტი

კოლორადო 5:5 ვანკუვერი
2:2 2:1 1:2 0:0
1:0 საკივი (4), 2:0 საკივი (12), 2:1 მორისონი (15), 2:2 სოპელი (19), 3:2 ტანგეი (22), 4:2 საკივი (29), 4:3 ნესლენდი (40), 5:3 ტანგეი (42), 5:4 მალკი (47), 5:5 ოლუნდი (48)

დეტროიტი 2:1 კალგარი
0:0 1:0 1:1
1:0 ზეტერბერგი (34), 2:0 მოურესი (49), 2:1 იგინლა (54)

ვის გაუკვირდება სენსაციური შედეგები პლეი ოფში? თვენახევრის შემდეგ „კალგარი“ და „დეტროიტი“ პლეი ოფში ერთმანეთს რომ შეხვდნენ (რაც სავსებით მოსალოდნელია), თუ პირველის გამარჯვებით ყველა გაცდება, იტყვიან, რეგულარულ ჩემპიონატი მუდამ მეტოქე ჯაბნდია. დიას, „წითელფრთხანები“ უგებენ „კალგარს“ სეზონურ სერიას, მაგრამ საკითხავია, როგორ.

თუნდაც ეს მატჩი ავიღოთ, მთელი სამი პერიოდის განმავლობაში ისე ლაღად გრძობდნენ სტუმრები თავს, გეგონებოდათ, რომელიმე მანჩანლა გუნდი მასპინძლობით, პირველ მეოთხედში „ალეგმა“ მილად დაჩაგრეს მეტოქე და ცო-

ტა მეტი გამჭრიახობა რომ გამოჩინათ და იბალსაც გაეღიმა, აუცილებლად გახსნიდნენ ანგარიშს. მოგვიანებით თამაში შედარებით გათანაბრდა, მაგრამ სტუმართა შეტევები მინც მწვევე იყო და ძირითადად იშვიათად მოთამაშე მარკ მოურესს სასწაული გოლი რომ არ გაეტანა, ვინ იცის, როგორ დასრულდებოდა თამაში. ფორვარდმა მცველსაც ოსტატურად აუარა გვერდი და მეკარეც გააბრიყვა. სხვათა შორის, მოურესი განაცხადში მატჩამდე რამდენიმე საათით ადრე შეიყვანეს, მაშინ, როცა კრის დრეიპერის ტრავმა სერიოზული აღმოჩნდა. „ალეგმა“ ბოლომდე არ დაყარეს ფარ-ხმალი, მაგრამ მხოლოდ ერთი გოლი შეაგდეს და დამარცხდნენ, თუმცა... ასეთი წაგება ზოგ გამარჯვებაზე ძვირად ფასობს.

აუზალე 4:3 ოტავა
2:1 1:2 1:0
1:0 დრური (11), 1:1 ალფრედსონი (12), 2:1 დრური (20), 2:2 პოსა (35), 2:3 სმოლინსკი (36), 3:3 აფინოგენოვი (36), 4:3 შატანი (53)

სან ხოსე 4:3 მონრეალი
1:0 3:2 0:1
1:0 სტიუარტი (7), 1:1 პერო (28), 2:1 დამფუსი (32), 2:2 მარკოვი (35), 3:2

შტურმი (35), 4:2 დიმიტრაკოსი (36), 4:3 რიბერი (49)

ჩიკაგო 3:5 ტამპა
1:2 1:1 1:2
0:1 ლევაგალიე (5), 0:2 მოდინი (6), 1:2 ბელი (20), 1:3 სარიჩი (27), 2:3 ვოლდერი (35), 2:4 ფედოტენკო (45), 3:4 რუტუ (51), 3:5 რიჩარდსი (60)

ფილადელფია 5:2 ნიუჯერსი
2:0 1:0 2:2
1:0 იუნსონი (1), 2:0 ფაშოვი (14), 3:0 ამონტე (22), 4:0 იუნსონი (46), 4:1 უოკერი (49), 4:2 პოლი (53), 5:2 კაპანენი (60)

ფლორიდა 2:5 ნიუ ჯერსი
1:1 0:3 1:1
0:1 ჯონტა (1), 1:1 ნილსონი (3), 1:3 ელიაში (22), 1:3 ნიდერმაიერი (36), 1:4 ელიაში (40), 2:4 კოლნიკი (44), 2:5 გომესი (48)

ხანმოკლე პაუზის შემდეგ „ნიუჯერსის“ ლიდერებმა კვლავ დაიწყეს „აკერცხების დაღება“. მორიგ მატჩში ელიაში — გომესი — ჯონტას „EGG“ (კვერცხი) სამეულმა სეზონის ერთ-ერთი საუკეთესო მეკარე, ფლორიდელი რობერტო ლოუნგო გააწამა. გომესმა გოლი და 4 პასი მიითვალა.

ანაჰაიმი 2:0 ვინსრობა
0:0 1:0 1:0
1:0 პოდსონი (31), 2:0 პოდსონი (51)

ჩინჯერსს შიგან რასა დგას, იგივე გამოივლავის

ამაღვე განხორციელებული გაცვლები მხოლოდ შესავალი ყოფილა, სამშაბათს კი ტრეიდების ცვენა დაიწყო — 24 საათში ოთხი ხმაურიანი ვარიანტი შედგა, მთავარი ინიციატორი კი „რინჯერსი“ იყო. ზედმიწევნით მე-7 სეზონია, პლეი ოფს მიღმა დარჩენილმა გუნდმა ერთბაშად სამი ვარსკვლავი მოიცილა და შეებოთაც ამოიუნთქა. ნიუიორკელებმა ჯერ ალექსეი კოვალევი გაყიდეს „მონრეალში“. რუსი სეზონის დაწყებისთანავე დაინავსა და გუნდისთვის ზარალი უფრო მოჰქონდა, ვიდრე სარგებლობა. თუმც კანადურ კლუბში მას დიდი ენთუზიაზმით შეხვდნენ. „კოვალევი უნიტიერესი მოთამაშეა. უბრალოდ, ყოფილ კლუბში საქმე არ აქვს“ — ასეთი იყო საგანგებო პრესკონფერენციის ლაიტმოტივი.

ამის შემდეგ „რინჯერსი“ ჩეხ პეტერ ნედველსაც წარბშეუხრელად

დაემშვიდობა. ნედველზე ზუსტად იგივეს თქმა შეიძლება, რაც კოვალევიზე, მხოლოდ იმას დავამატებთ, რომ მის გარდა „ედმონტონმა“ ფინელი მეკარე იუსი მარკანენიც შეიძინა, ხოლო კომპენსაციის სახით ორი ახალგაზრდა ფარმკლებელი და დრაფტზე ერთი არჩევანის უფლება უბოძა ნიუიორკელებს.

ყველაზე სენსაციური კი მესამე გაცვლა გამოდგა. მართალია, ბრაიან ლიჩის გადასვლაზე უკვე ცხადად ალაპარაკდნენ, მაგრამ „რინჯერსის“ ქობაგებს გულის სიდრემში მინც არ სჯეროდათ, რომ მათი მრავალწლიანი კერძი სხვა გუნდის ფორმაში გამოეწყობოდა. ეხუმრებით, ლიჩმა 17 სეზონის განმავლობაში უერთგულა „რინჯერსს“ და სხვა გუნდში ერთი თამაშიც არ ჩაუტარებია. თუმც სასწაული არ მოხდა და ვეტერანი მცველს მინც მოუწია აბარება. უნდა

ითქვას, რომ ლიჩის გადაბირება ყველაზე მეტად „ბოსტონს“ სურდა, მაგრამ ბოლო მომენტში გადაიფიქრეს „დათვებმა“ და ამით „ტორონტო“ ისარგებლა, რომელიც ასევე შემტევი მცველის ძიებაში იყო, თავად „ბოსტონმა“ კი ვაშინგტონელი სერგეი გონჩაროვი ამჯობინა ვეტერანს. რუსი წლეულს მართლაც საუცხოოდ ასპარეზობს, ვეა, მისი გუნდის ჩავარდა. რუსს თავადაც ბევრი დრო გაუცდა ტრავმის გამო, მაგრამ გონჩარი მინც ლიჩის ყველაზე შედეგიანი მცველია. ასე რომ, „დათვებმა“ მომგებანი არჩევანი გააკეთეს. ისე, ნურც იმას დავივიწყებთ, რომ რუსზე ყველაზე აქტიურად „ტორონტო“ ნადირობდა. „ვაშინგტონს“ კი ერთი სახელიანი მოთამაშეა დარჩა — მეკარე ოლაფ კოლცივი, თუმც ალბათ მასაც მალე მოუწევს აბარება.

სამხელ ლარიბიანი



„რინჯერსი“ ბრაიან ლიჩის შეეღია



სერგეი გონჩარი



ეროვნული გიგლიოთიქა

თეიმურაზ რაჯაბოვი

რაჯას მეფემაც ბაიხარა

ლინარის სუპერტურნირი

მსპანეთი. 19 თებერვალი - 5 მარტი

XII ტური

ვლადიმერ კრამნიკი (რუსეთი) — ვარი კასპაროვი (რუსეთი) 0,5:0,5
ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი) — პეტერ ლეკო (უნგრეთი) 0,5:0,5
ფრანსისკო ვალეზო (ესპანეთი) — თეიმურაზ რაჯაბოვი (აზერბაიჯანი) 0:1
ალექსეი შიროვმა (ესპანეთი) დაიხვრა

კასპაროვის სუსტი წერტილები რომ ყველაზე უკეთ მისმა ყოფილმა შევირდმა კრამნიკმა იცის, ახალი ამბავი სულაც არ არის. შავი ფეხურებით მოთამაშე ვარის სიცილიური დაცვა კარგად აქვს დაცლილი და მოჭადრაკენიც ხშირად გაურბიან მასთან ამგვარ დასაწყისს. ოთხი წლის წინ კრამნიკმა სწორედ ამ ხერხით იხელმძღვანელა და ასე აართვა კასპაროვს მისივე გამოგონილი მსოფლიოს კლასიკური ჩემპიონის ტიტული.

უმცროსი ჩემპონი რისკზე არც ლინარუსში წავიდა და თანამემამულესთან დებოტში დედოფლის გამბიტი გაითამაშა. კასპაროვმა მორე სვლაზევე პაიკი აართვა ძველ მეტოქეს, თუმც მოსწავლემ დაკარგული ხარისხი სამ სვლაში დაბრუნა და ფეხურების გაცვლა დაიწყო. ბრძოლა დიდხანს აღარ გაგრძელდებოდა და მე-17 სვლაზე მოქაშეებმა სამშვიდობო შეთანხმება გააფორმეს.

ლიდერთან ქულიანი სხვაობის განახევრება შეეძლო ლეკოს, თუმც ტოპალოვთან შეხვედრაში ბრჭყა-

ლები ბოლომდე ვერ გამოაჩინა და 21-ე სვლაზე ყაიმს დასჯერდა.

ბევრი ბრძოლა იყო ახალგაზრდების — ვალეზოსა და რაჯაბოვის შეხვედრაში. პარტია ხუთნახევარ საათს გაგრძელდა და 62-ე სვლაზე დასრულდა.

აზერბაიჯანელმა ტრადიციას არც ამჯერად უღალატა და დებოტში შეტევის გასაფიქრებლად კვლავ შეწირვა განახორციელა. მატერიალურ უპირატესობაში დარჩენილმა პირინეელმა თავიდან შეძლო მისი შეკავება და ცენტრსაც დაეპატრონა, თუმც შემდეგ შეცდა და ჯერ კიდევ პირველი საკონტროლო დრო რომ მიდიოდა, ბაქოელს ყაიმში შესთავაზა. რაჯაბოვი კი უკვე ისე იყო მოგებაზე დაგეგმილი, არც მოუსმინა და თამაში გააგრძელა. 45-ე სვლაზე იგი F ხაზზე მოძრავ პაიკს ბოლომდე მიაწვა და 13 სვლაში ლაზიერად აქცია. ვალეზოსაც სხვა რაღა დარჩენოდა, ოთხ სვლაში წყნარად ადგა და კაპიტულაცია გამოაცხადა.

ლუზა გემეზკორი

1 ვლადიმერ კრამნიკი (რუსეთი)	6,5/11
2 ვარი კასპაროვი (რუსეთი)	5,5/10
3 პეტერ ლეკო (უნგრეთი)	5,5 ქულა/10 თამაში
4 ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი)	5/10
5 თეიმურაზ რაჯაბოვი (აზერბაიჯანი)	5/11
6 ალექსეი შიროვი (ესპანეთი)	4,5/10
7 ფრანსისკო ვალეზო (ესპანეთი)	4/10

კალაშოვსკი

ევროლიგა
მეორე ჯგუფური ეტაპი. I ტური. 3 მარტი

D ჯგუფი
ციონა 72:78 ტავ

F ჯგუფი **G ჯგუფი**
სინა 68:73 ბარსელონა ულმარი 73:85 შალზიბისი
პანათინაიკოსი 82:75 ბენეფონი პამისა 74:89 მუხამბი



REUTERS მეტაბურნიდან



ბერნი და სლავისა

აი, მოახლოვდა საფორმულე სეზონის გახსნის დღეც. კვირას მეტაბურნი ავსტრალიის დიდი პრიზი გათამაშდება. რა თქმა უნდა, იქაა ფორმულის თავგაბი ბერნი ეკლესტონი, რომელიც ცოლ სლავიცასთან ერთად სეზონის გახსნისადმი მიძღვნილ მოდების ჩვენებაზე მისულა.


მეგობრები

საიდან მოხვდნენ ტაივურ ვუდსი და მისი საცოლე ელინ ნორდგრენი ამერიკულ ავიაპროფესიონალთა „ჯორჯ ვაშინგტონი“ ჰქვია, მხელი სათქმელია. ასე ვთქვათ, რომ არაბეთის ყურეში დამდგარ ვემზე ვოლოვის ვარსკვლავს სიხარულით შეხვდნენ, ვუდსი დუბაის „დუზერო კლასიკის“ შეჯიბრში უნდა ჩაებან.




დაამკვირვებელი

დიას, ქერიმ აბდულ ჯაბარს ახლო ბლოკნიტიც სჭირდება და კალამიც. ის „ნიუ იორკ ნიუსის“ მწვრთნელის „დამკვირვებელი, ასოსტენტი“ და „ლოს ანჯელეს კლიბერსის“ და „ინდიანა პეისერსის“ თამაშს ადევნებს თვალს. მისი შენიშვნები ხომ „ნიუსს“ დიდად გამოადგება.



ქალთა ომები

კარიბეთის ჩრდილო და შუა ამერიკის გუნდები კვლავ ებრძვიან ერთმანეთს ათენის ოლიმპიადის ორი საფეხურისთვის. კანადელი შერმან ჰუპერს ისე ნდომებია ვოლის გატანა, რომ მექსიკელთა მეკარე ჯენიფერ მოლინა ვადაუჯგავს.



REUTERS ბომბევიდან



ფლორიდა ბომბევი

ბომბევიში გაიხსნა წყლის თხილამურების მსოფლიო ჩემპიონატი. შეჯიბრში 17 ქვეყნის 31 წარმომადგენელი მონაწილეობს. ნამდვილი შეჯიბრი დღეიდან დაიწყება, გუშინ კი გახსნის შოუ განთქმულ „ფლორიდის ვარსკვლავთა“ საწყალოსნო წარმოდგენამ გააღებინა.

REUTERS სან ხოსედან

სარბიელი

საქართველო გახვითი

გამოცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოცემის ორგანიზაცია, საგარეო, ორგანიზაციის, სახელობის, პარასკეპს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ შოთაძე
დირექტორი ბიორბი ოქროშაძე
რედაქტორი თამაზ მიხრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კობორაძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქტორი: დავით ერატე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, პატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქტორი: ვიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულიასვილი, გიორგი დარჯანიანი, გიორგი ვაშაქიძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქტორი: ირაკლი შირაშვილი
ინფორმაციის რედაქტორი: ვია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ოთარ მალაქაძე, ირაკლი პეტრია
ფოტორეპორტორები: გურამ დოღენავაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ნათელა ბუნუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან დარსაგველიძე, სვეტა დევიძე, ფატი დვალისვილი, მაგდა დოვრაშვილი, დავით კვაჭანტირაძე, თენგიზ ფოფხაძე, ზურაბ წერეთელი, მირიან ხანიშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზვავის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29 ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge